ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№66 (1576)

3-5 ივლისი, 1997 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ კვირაიამ მომკლა არაგვზე, შენ ჩემს სიკვდილში არ გიდევს ბრალი...

ნოდარ გრიგალაშვილი

ამ ორი-სამი დღის წინ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გაავრცელეს ჩემი განცხადება, რომელშიც დასკვნის სახით ვწერდი: „სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, თუ თეორიული შანსი მაინც არსებობს იმისა, რომ უშიშროების მინისტრის წინააღმდეგ გამოსვლები საქართველოსთვის საზიანო პოლიტიკური სპექტაკლია, ამ სპექტაკლთან ჩემს პიროვნებასა და გაზეთ „საქართველოს“ არანაირი კავშირი არ აქვს“-მეთქი.

ამ განცხადების საჭიროება იმ აჟიოტაჟმა გამოიწვია, რაც საზოგადოებაში ატყდა ბატონ შოთა კვირაიასთან დაკავშირებით. მისმა გულმოდგინე დამცველებმა ჯერ იყო და ყველაზე საშიში თემა შემოაგდეს, არიქათ, კვირაის მეგრელობის გამო ებრძვიანო. მე რომ მკითხოთ, ამ აზრის ავტორები და გამავრცელებლები უნდა შეაგდონ ვირის აბანოში და არა ის საწყალი ალაზნისპირელი, რომელსაც ისეთი მოჩვენებები აწუხებს, მისი გასამართლება საცოდაობა იყო...

ამ ბინძურმა „კოზირმა“ რომ ვერ იმუშავა (საბედნიეროდ, ჩვენი ხალხი უფრო ბრძენია, ვიდრე ეს ჩიტირეკიებს ჰგონიათ), მეორე, არანაკლებ ხმაურიანი ზარი იქნა ჩამორეკილი.

არიქათ, კვირაიას განთავისუფლებით (არადა, ვინ აძალებდა, პროკურატურაში ხომ თავად აღძრა საქმე)... აფხაზეთის პრობლემა დადებითად აღარ გადაგვიწყდება, უშიშროების სისტემა დაუძლურდება, საქართველო უფსკრულში გადაიჩეხებაო. ამოატივტივეს იმ პირთა გვარები, რომელნიც კვირაიას განთავისუფლებით არიან დაინტერესებულნი და მათგან ზოგს მოსკოვის აგენტობაში, ზოგს სამშობლოს დალატში და რა ვიცი, რა დარდუბალაში არ დასდეს ბრალი.

ამ ვაკხანალიაში ვერც უშიშროებამ და ვერც მისმა დამცველმა პოლიტიკურმა თუ ჟურნალისტურმა ძალებმა ვერ გაბედეს ჩემთვის იოტისოდენა ბეჭეის მოცხებაც კი.

პირიქით, მე მადლობელიც კი ვარ ქალბატონ კლარა აბრამიასი, რომელიც ბატონ მინისტრის მოწინააღმდეგეებს უშურველად აყრის რა „ასავალ-დასავალიდან“. თავზე ნაცარს, ასეთ უინზე ჩემი მისამართით წერს: *„გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორი, ბატონი ნოდარ გრიგალაშვილი უაღრესად მართალი, პირდაპირი, პრინციპული და მოუსყიდავი პიროვნება გახლავთ; ეს, რომელიც არაფერს იტოვებს სათქმელს; ძალზე გაბედულ და ობიექტურ მასალებს ბეჭდავს; უშიშრად გამოაქვს სააშკარაოზე საზოგადოების ტკივილი. პირდაპირ ასახელებს მტყუანსა და მართალს; არავის ერიდება, არაფერს მალავს... მითხარით, აბა, რაში სჭირდება ასეთ კაცს მოსმენა? რა უნდა გაიგო მისგან, რა აქვს დამალული? ეს ხომ აბსურდია!!!“*

ქალბატონო კლარა, „როგორმე შოთამ თუ მიმატოვა, როგორმე შოთას თუ გადავურჩი“, მე ვიცოდე თქვენი პატივისცემა, ხოლო „თუ „ყაჩაღებმა“ მომკლეს არაგვზე“, ეპიტაფიად გამომადგება ეს სიტყვები – „შენ ჩემს სიკვდილში არ გიდევს ბრალი“...

ხუმრობა იქეთ იყოს და პირველ სიტყვასა ზედა მოვალ. მე კი ვიცი, აფხაზეთის დაბრუნება არც ერთი მინისტრის მოხსნაზეა დამოკიდებული და არც მის დატოვებაზე, მაგრამ ვინაიდან ხალხში შექმნეს აზრი, კვირაიაზე აქცენტის გადატანით აფხაზეთის საკითხის მიფუჩეჩება უნდათო, იძულებული ვიყავი განმეცხადებინა, თუ ეს სპექტაკლია, ამ სპექტაკლთან არავითარი კავშირი არ მაქვს-მეთქი.

2



ბატონ ნოდარ შუბლაძეს
ბატონ

საიდუმლოდ
ობიექტი C-8
რეგ.№ _____ რიგ.№ 5160
თარიღი 12/VII-96
შეურცლების ვადა 7

15.00 სთ-ზე

15.10 სთ „ვნ“-ში ეფრემაძეს ასთან

ს/ოლან, ბოლოვინა ფარ.

ვნ – თვი ბენდა?

ს – კი

ან – ...ბენჩაფოდ ამოდთი ორაკენ.

ლითონეა ჩასროლილ ს/ო.-ში, ნოდარ ...ეფაბლანა. / ...ჩასროლ ...ილ./

ნ – ...ჩასროლ, ...ეფლოდენ ...

ზან – ...ა, ...ეფლოდენ ...

ნ ... ...ეფლოდ ...

ნ – ...ეფლოდ ... ...ეფლ ...

...ეფ, ...ეფ ... ...ეფ, ...ეფ ...

ოო, როგორ სძულდა მაშინ ბატონ ედუარდს ფულიანი კაცი და როგორ სძულს ახლა უფულო კაცი (ჩემს გარდა ოღონდ!)



თბილისი, სახელმწიფო უნივერსიტეტი. ახალგაზრდა ლექტორი **ვახტანგ გოგუაძე** კითხულობს საჩვენებელ ლექციას, რომელსაც უსმენს ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ედუარდ შევარდნაძე**

3

თუ კვირაობამ მოგკლა არაფერი, შენ ჩემს სიკვდილში არ გიდევს ბრალი...

პირველი გვერდიდან

უფრო მეტიც, ოღონდ ბატონმა შოთამ აფხაზეთი დაგვაბრუნებინოს და ჩემს სიგრძე სანთელს ავუნთებ არსთა გამრიგეს თხოვნით – უშიშროების მინისტრი განსაცდელისგან დაიფარე-მეთქი.

ბატონ შოთასთან პირადად არც არაფერი მაქვს გასაყოფი. პირიქით, როგორც ადრეც მოვახსენე მკითხველს, მადლობელიც კი ვარ მისი, ჩემს მაგივრად ჩემი ცხოვრების დღიურებს რომ წერდა მის უწყება. ამიტომ, მართალი გითხრათ, ხმის ამოღებას აღარც ვაპირებდი. მე ჩემი სათქმელი ვთქვი და რა ჩემი საქმეა, რომელი კლანი რომელს ებრძვის-მეთქი, მაგრამ გუშინ პარლამენტის ყოფილმა სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ ისეთი დოკუმენტი მაჩუქა, არ შემიძლია ახლა უკვე ყოველგვარი ირონიის გარეშე არ მოვახსენო დიდი მადლობა ჩვენს უშიშროებას.

მათ გამიცოცხლეს შარშანდელი ცხელი ზაფხულის კიდევ ერთი დღე. მერედა როგორ გამიცოცხლეს, საუბრისას სად გავიცინე, ისიც კი სკრუპულოზურად დაუფიქსირებიათ.

გთავაზობთ უშიშროების მიერ მოსმენილ და გაშიფრულ კიდევ ერთ ჩანაწერს, არც მეტი, არც ნაკლები, ვახტანგ გოგუაძესთან.

ჩემი და ნათაძის საუბრებს რომ უსმენდნენ, ეს გასაგებია, ფხიზლად უნდა ყოფილიყვნენ, მე და ბატონი ნოდარი ჩუმ-ჩუმად დღეში სამ ტერაქტს მაინც ვამზადებთ. მაგრამ გოგუაძეს, ამ სახელმწიფოს ბურჯს, რაღას ერჩოდნენ, ვერ გამიგია.

მაშ ასე: შიფრი თქვენთვის უკვე ცნობილია. ს/ო – იგივე სადაზვერვო ობიექტი არის ჩემი კაბინეტი და ტელეფონი.

გ.ნ. – გახლავართ მე, გრიგალაშვილი ნოდარი.

გ.ვ. გახლავთ გოგუაძე ვახტანგი – სოციალიზმის აგენტი...

ტელეფონზე გუგული და მამალივით ვაქებთ ერთმანეთს. დრო – შარშანდელი ზაფხული, 12 ივლისი. იბეჭდებოდა გოგუაძის ინტერვიუ რუბრიკით „ვინ იყო ვინ?“ დანარჩენი იხილეთ ტექსტში.

სუკის მიერ მოსმენილი და გაშიფრული სატელეფონო დიალოგი

სატელეფონო ხაზზეა ვ. გოგუაძე და ნ. გრიგალაშვილი

ბატონ ბ.შენგელაიას

საიდუმლოდ
ობიექტი C-8
რეგ. №
რიგ № 5160
თარიღი 12/VII - 96
ფურცლების რაოდენობა 7

15.00 სთ-დან

15.10 სთ „გნ“ – ურეკავს კარლოს ს/ო-დან, მოიკითხა იგი.

გნ – გივი მანდაა?

კ – კი

გნ – სასწრაფოდ ამოდით ორივენი.

დარეკა რუსიკომ ს/ო-ში, ნოდარს ელაპარაკა. (რუსიკო საერთოდ არ ისმის).

ნ – ხო რუსიკო, ველოდები მის ზარს რა, თათბირი აქვს და ველოდები მის ზარს.

რ – დაურეკე შენ?..

ნ – დავურეკე და იქ ყველა გავაფრთხილე, როგორც კი ჩამოვა, დამირეკოს-თქო. ვერ ვიჭერ-მეთქი. შენ დამირეკე საათნახევარში.

რ – ძაან დიდი მადლობა ნოდარი.

ნ – კარგი.

ნოდარი რეკავს სადღაც (ვერ გადის).

ს/ო-ში დარეკა ვახტანგ გოგუაძემ.

გ3 – ალო!

გნ – ბ-ნო!

გ3 – გამარჯობა ნოდარ!

გნ – გაუმარჯოს!

გ3 – ვახტანგ გოგუაძე მოგესალმება

გნ – ო, რავა ხარ ბ-ნო ვახტანგ?

გ3 – კარგად, შენ რას შვები?

გნ – კაცო

გ3 – ხო!

გნ – აი, მოდის და მოდის გამოხმაურებები.

გ3 – ხო არა?

გნ – ხო, და, ახლა საერთო გამოხმაურებაა ერთი, „...კიტოვანის სიგუას და გოგუაძის აღსარებები მომავლის მემატიანეს საბუთად ვერ გამოადგება“ – ზვიადისტები მწერენ.

გ3 – ხო, აწერს ხელს ვინმე?

გნ – ხო, აწერს.

გ3 – კონკრეტულად?

გნ – ვინმე მჭედლიშვილია, ამათი პოზიცია ქე იცი.

გ3 – ხო.

გნ – ამათ აქვთ პირდაპირი დავალება მე მგონი მთავრობის, რომ არაფრით, შესარიგებელი სიტყვა თუ წამოცდეს ვინმეს, არ შეურიგდეთო.

გ3 – აჰა!

გნ – თქვენზე არაა, ლაპარაკია იმათზე, კიტოვან-სიგუაზე, იმათ აგინებენ. თქვენზე მხოლოდ ერთ ფრაზაშია, დანარჩენი იმათ აგინებენ. ე.ი. შენ ვერ შეაძულე ხალხს თავი, როგორც ჩანს (იცინის ვ.გოგუაძე).

გ3 – შენ, დღეს ნომერი არ გამოსულა?

გნ – ვერ გამოვედი ბ-ნო ვახტანგ! ორშაბათს იქნება.

გ3 – ორშაბათს? რამე პოლიტიკური ხომ არ არის-თქო, მე ვიფიქრე.

გნ – არა, ჩამივარდა დღევანდელი.

გ3 – აჰა, რამე, მთავრობა ხომ არ გიშლის ხელს?

გნ – არავინ არ მიშლის, უბრალოდ წინა ნომერი დევს, ჯერ არ გაიყიდა და დავაცადე, რომ გაიყიდოს.

გ3 – სწორი ხარ, რამდენი გამოდის ტირაჟი?

გნ – წინა იყო 6, ზაფხული რაა, ცოტა გაუჭირდა, ხალხი გასულია ქალაქიდან და, მარა მაინც დიდი ტირაჟია.

გ3 – Хорошо ძვირფასო.

გნ – სხვა რა ამბებია?

გ3 – სხვა, ვართ რა, მე მგონია საინტერესოა, „შანსში“ იქნება ჩემი და ვალერის დიალოგი.

გნ – ხო.

გ3 – ხოდა, ხვალ საღამოს რუსთავი-2-ის ტელევიზიით უნდა გამოვიდე საღამოს 9 სთ-ზე, ერთსაათიან გადაცემაზე მიმიწვიეს, მერე ცოტა ხანს დავდუმდები.

გნ – ახლა ვინც კი თქვენ გიწვევთ, სუყველა ჩემი კონკურენტია, ასე რომ მთელი დრო უნდა დაახარჯო ამ ინტერვიუს.

გ3 – შენ მე ნუ მომერიდები, რამე უხერხულობას ხომ არ გიქმნი შენ?

გნ – პირიქით, მე მინდა, რომ ჩვენთვის წერო, რაც შეიძლება ბევრი.

გ3 – „ტროპიკანკა“ არ დაარქვან.

გნ – (იცინის) დაარქვან რა, ცუდია მერე მაგი? გაგრძელებებით რომ მიდის, კარგია.

გ3 – წაიკითხე შენ, გამოგზავნილი მასალები?

გნ – კი, ყველაფერი გენიალურია.

გ3 – მე მგონი არაა ცუდი?

გნ – იცი რა კარგია? მე, ხომ კაის ველოდი, მარა მოლოდინს გადაჭარბა და რაც მთავარია, მოლოდინი არის საზოგადოებაში (არ ამთ.). აი, დღეს რომ არ გამოვიდა გაზეთი, ნუ, აი რაღაცა ხდება რა (ვახტანგი კვდება სიცილით).

გ3 – მე ხანდახან მგონია, რომ მეფერებიან, ძალიან კითხულობენო, მაგრამ გაზეთი განათხოვრებითაა უკვე.

გნ – რაღაცა ხდებაო, პირველმა შენ კი არ მკითხე, რატომ არ გამოდის, რა ხდება, ხალხშიც ინტერესია.

გ3 – იუმორის გვერდიც კარგია.

გნ – გალაკტიონს გავუშვებ იუმორის კუთხეში, ცოტა უნდა ავამაღლო იუმორი. გურიაში კაცი მყავს გაგზავნილი, კრეფს გურულ იუმორს.

გ3 – აჰა.

გნ – მინდა, რომ ყველა კუთხის იუმორი გავიდეს რუბრიკით, მიყოლებით.

გ3 – შენი გაზეთი მაგრად წავიდა უკვე.

გნ – მოკლედ სადაც ხარ, საქმე უნდა აკეთო.

გ3 – კი, კი და, მოკლედ შენი სახელობის წიგნს მაბეჭდინებ რა, (იცინიან) ცოტა რუსული დიალოგები ბევრი მაქვს, მაგრამ დოკუმენტური.

გნ – ეს უხდება კაცო, აქ ჩანს, რომ ლაპარაკობს სახელმწიფო მოღვაწე.

გ3 – და მერე, შენ თუ დაუკვირდები, მანდ ყველა სცენა ცოცხალია ხომ?

გნ – კი.

გ3 – ესაა, დოკუმენტია.

გნ – კი და, აი ესაა მთელი ამისი მულამი.

გ3 – თუ ბიჭია, წამოხტეს ვინმე და თქვას, არ იყო ესეო. ახლა თვითონ შევარდნაძე ნაწყენი მაგ ჟანრზე, მე მგონი ნაღდად არ იქნება.

გნ – აი, იქიდან მართალი გითხრა არანაირი სიგნალი არაა (ვახტანგი იცინის).

გ3 – ერთმა მითხრა შენდენს ახლა შევარდნაძეს აღარავინ არ აქებსო (იცინის).

გნ – ისე პრინციპში როგორია იცი? ხალხი გონიერია, ხვდება იმასაც, იმასაც.

გ3 – მე მგონი კი.

გნ – საერთოდ, ისიც არ უნდა დარჩეს ნაწყენი. არ ვუკარგავ ღირსებას, მე იქ თქვენი ინტერვიუს შესაალში რაც დავწერე, ეგრეც ვფიქრობ. გოგუაძე ადრე აქებდა ჭკვიანურად, ახლა აკრიტიკებს ჭკვიანურად-მეთქი. მაგათ თუ უნდათ ახლა სულელურად და დედის გინებით გავაკრიტიკო, კი ბ-ნო, მაგის დამწერი ხალხიც ბევრი მყავს.

გ3 – ახლა, „დილის გაზეთში“ წაიკითხე კაკო ბაქრაძემ რომ გამაკრიტიკა, სარწმუნოება უნდა გამოვიცვალოთო?

გნ – თქვენ გაგაკრიტიკათ?

გ3 – მე გამაკრიტიკა, მარა ჩემი კრიტიკა მაინც და მაინც დიდი უპატივცემლობით არ გამოირჩევა, მაგრამ საშინელი, შემაზრზენი რამე თქვა კაცო, სარწმუნოება უნდა შევიცვალოთო.

გნ – ვინ უნდა გავხდეთ, კათოლიკეებიო?

გ3 – მე ვეკითხები ახლა, „დილის გაზეთს“ უნდა მივუტანო წერილი, ბ-ნო აკაკი, რომელი სარწმუნოება უნდა მივიღოთ, გვითხარითთქო, ჩვენს ასაკში წინდაცვეთა ამბობენ ძნელია-თქო (იცინიან) მაშინ ჩვენს წინაპრებს რა ვუთხრათ ბიჭო. რწმენამ გადაგვარჩინა ჩვენ, ურწმუნოებამ დაგვღუპა.

გნ – მოხუცებულა აკაკიც.

გ3 – გული დამწყვიტა, ლევანს დავურეკე წეღან, უნდა ვუპასუხომეთქი, აბა რაო, თითონ რო წერდა რატომ არ შეგეკითხაო?ძვირფასო, შენ სახლში არ გაქვს ტელეფონი?

გნ – მაქვს, მარა არ მუშაობს.

გ3 – მაინც კარგია რომ გაქვს.

გნ – ხო (იცინის).

გ3 – კაი ჩემო ნოდარ, ხანდახან შემეხმიანე.

გნ – იცოცხლე, ორშაბათს იქნება ინტერვიუ.

გ3 – აბა ბიჭო, თუ რედაქტორს უყვარს ავტორი, ფოტოსურათიც ლამაზია და ყველაფერი. დემირელთან მაქვს ფოტო, როგორი ჩახუტებულია ჩემთან და რა ბედნიერია ერთი იცოდე.

გნ – ეგ ფოტო ჩემთანაა და გავუშვებ. ა, ხომ ხედავ, დემირელის ბედნიერებაზეც მე უნდა ვიფიქრო...

გ3 – აჰა, ის კი არ იციან, რომ მე მარტო რუსეთუმე ვარ (იცინის).

გნ – არსად დაგეკარგოთ ეგ თქვენი რუსეთი. აბა იცოცხლეთ.

გ3 – დიდი მადლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟვანია ბერეზოვსკისთან ერთად გაემგზავრა სოხუმში

ედუარდ შევარდნაძესთან სამ საათიანი მოლაპარაკების შემდეგ რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ბორის ბერეზოვსკი გუშინ სოხუმში გაფრინდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ზურაბ ჟვანიასთან და საქართველოს ელჩთან რუსეთის ფედერაციაში ვაჟა ლორთქიფანიძესთან ერთად.

რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ ბორის ბერეზოვსკიმ თბილისში ჩამოიტანა აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებით ახალი წინადადებები, რომლებიც ჯერჯერობით არ არის განხილული.

პრეზიდენტის პრეს–მდივნის თქმით, თბილისში ბერეზოვსკი ძირითადად ლტოლვილთა დაბრუნების საკითხზე მართავს მოლაპარაკებებს. აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხი არ განიხილება. (პრაიმ–ნიუსი)

8 კაცი დაიღუპა და 6 დაიჭრა

8 კაცი დაიღუპა და 6 დაიჭრა აფხაზეთში, გულრიფშის რაიონში სამშაბათს მომხდარ შეტაკებაში – აცნობა პრაიმ-ნიუსს საქართველოს ძალისმიერ სტრუქტურებთან დაახლოებულმა კარგად ინფორმირებულმა პირმა.

იგივე პირის ცნობით, სავარაუდოა, რომ შეტაკების მიზეზი კლანებს შორის კონფლიქტი გახდა.

აფხაზური მხარე მომხდარში ქართველ პარტიზანებს ადანაშაულებს, თუმცა ქართული წყაროები აცხადებენ, რომ ამ რაიონში პარტიზანები არ არიან. (პრაიმ-ნიუსი)

კომუნისტები წინააღმდეგი არიან

„ე.წ. „პოლიტიკოსების“ დოქტრინები ინის შესახებ, რომ აფხაზეთიდან უნდა გაიდნენ რუსეთის სამშვიდობო ძალები და რომ ტერიტორია ომით უნდა დაბრუნდეს, რუსეთთან აშკარად ნეგატიური დამოკიდებულების გამოხატულებაა და პროვოკაციულ ხასიათს ატარებს“ – ნათქვამია საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებაში.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ „მსგავსმა გამონათქვამებმა შეიძლება ახალ ფართომასშტაბიან ტრაგედიამდე მიგვიყვანოს“.

საქართველოს ეკპ–ის ბიურო მოითხოვს „წერტილი დაესვას მსგავს გამონათქვამებს, რომლებიც მხოლოდ საქართველოს მტრების წისქვილზე ასხამენ წყალს“. (პრაიმ–ნიუსი)

24 წლის ახალგაზრდა დახვრიტეს

აფხაზეთის ა/რ მინისტრთა საბჭოს პრეს–ცენტრის ცნობით, 1 ივლისს გალის რაიონის სოფ. სიდაში ავტომანქანით გაზ–69 შეეფარა აფხაზური მილიციის გალის განყოფილების თანამშრომელთა ხუთკაციანი ჯგუფი. მანქანა უკან დაბრუნებისას აფეთქდა, რის შედეგადაც დაიღუპა აფხაზი ეროვნების მძღოლი.

შეიტყვეს რა აფეთქების შესახებ, აფხაზებმა დაიკავეს ავტობუსი, მძევლად აიყვანეს მგზავრები – გვარად ჭანტურიები და 24 წლის ახალგაზრდა ეაჟი ფარულავა. ეს უკანასკნელი დახვრიტეს და აფეთქების ადგილზე ჩამოაგდეს. ცეცხლი წაუკიდეს სამ საცხოვრებელ სახლს. აფხაზები ემუქრებიან იქ დარჩენილ მშვიდობიან მოსახლეობას, რომ თუ ისინი არ დაეხმარებიან აფეთქების ინიციატორების მოძებნაში – გადაწვავენ სოფელს. მოსახლეობა მოიცვა პანიკამ. გარკვეული ნაწილი ენგურს გადმოღმა გადმოდის.

გუშინ დილის საათებში აფხაზი პოლიციელები ჯერ კიდევ სოფელში იმყოფებოდნენ. (იფრინდა)

ვახტანგ გოგუაძე:

ოო, როგორ სძულდა მაშინ ბატონ ედუარდს ფულიანი კაცი და როგორ სძულს ახლა უფულო კაცი (ჩემს გარდა ოღონდ!)

– ბატონო ვახტანგ, პარლამენტმა ამ ბოლო დროს რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი განიხილა. თქვენ მონაწილეობდით ამ განხილვაში და განაცხადეთ, რომ ესაა არა კორუფციასთან ბრძოლა, არამედ კორუფციის ისტორიასთან ბრძოლა. რას იტყოდით ამის შესახებ?

– კორუფციასთან ბრძოლა ნიშნავს ცეცხლოვან ურჩხულთან ბრძოლას. იგი თვითონ უმაღლესი ხელისუფლების მექრთამეობაში ჩაფლულობაა, როდესაც ვერ ერევა კანონი, მისი ფესვები კი სულ ზევით და ზევით მიდის.

კორუფციის ისტორიას რომ შევეხოთ, მოდით, ცოტა ადრიდან დავიწყოთ, კერძოდ, პერიკლედან.

პერიკლე, მოგეხსენებათ, იყო ათენის ბრძენი წინამძღოლი მე–5 საუკუნეში ჩ.წ. აღ–მდე. სწორედ მის დროს შეიქმნა ათენის უდიდესი კულტურა და ხელოვნება. პატარა გადახვევასავით მოგეჩვენებათ ის, რასაც ახლა გეტყვით. 1975 წლის 31 მაისს უნივერსიტეტში მიწეული იყო ცეკას პირველი მდივანი ბ–ნი ე.შევარდნაძე. აწ განსვენებულმა ჩვენმა რექტორმა დაეთი ჩხიკვიშვილმა მას შესთავაზა სანიმუშო ლექცია. ტექნიკურად მაღალაღჭურვილ აუდიტორიაში მსოფლიო კულტურის საკითხებზე 20 წუთიანი ლექცია წაიკითხე. ბ–ნ ედუარდთან ერთად იქ მთავრობის ხალხიც იმყოფებოდა. მე ვისარგებლე მომენტით და პერიკლეს პიროვნებაზე ვილაპარაკე.

ერთხელ პერიკლეს ყრილობაზე, აგორაზე, მოუწყეს შეთქმულება და დაუპირეს გადაყენება. ერთმა ოპოზიციონერმა ასეთი ბრალდება წაუყენა: – რას იტყვით იმის შესახებ, რომ ათენის ხაზინიდან ფული გაფლანგეთ?

ყველანი სულგანაბულები უსმენდნენ. ელოდნენ პერიკლეს თავის მართლებას. მან კი კითხვას კითხვით უპასუხა: – მაინც რას ამბობენ ჩემზე, რამდენი გაფლანგო?

– ოო, ბევრი, ძალიან ბევრი! – იყო პასუხი.

– იყოს ძალიან ბევრი, – უპასუხა პერიკლემ. მე ათენისათვის ძალიან ბევრი გამიკეთებია და კიდევ ბევრს გავაკეთებ, სხვა ხომ არაფერი გნებავთო?..

მან ოვაციები დაიმსახურა. პერიკლეს კი მართლა ჰქონდა ფული გაფლანგული.

საინტერესო ის არის, რომ მე ამას ვყვები 1975 წელს, როდესაც შევარდნაძე ხმალამოღებული ებრძვის მექრთამეობას და როცა ათი შაურისთვის ციხეში მიდიოდა ხალხი. საუბრისას შევნიშნე, რომ ცოდეა არ შეიძლება იყოს ცოდვად და ჩემს სიტყვებზე ზოგიერთი მთავრობის ზოგიერთ წარმომადგენელს სიმწრის ოფლი მოსდიოდა შუბლიდან. იფიქრეს, დაეიღუპეთ, ეს რა ქარაგმებით ლაპარაკობსო. სხვათა შორის, შევარდნაძეზე ნაკლებად არ მეჯავრებოდა და მეჯავრება მექრთამეობა. ოო, როგორ სძულდა მაშინ ბ–ნ ედუარდს ფულიანი კაცი და როგორ სძულს ახლა უფულო კაცი (ჩემს გარდა, ოღონდ!).

იმ წელსვე, 1975 წლის 8 დეკემბერს, ცეკაში ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეებთან ერთად მეც აღმოვჩნდი. როგორც ვიგრძენი, იმ ლექციის აზრი ახსოვდა. თათბირის მიზანი ასეთი იყო: ცეკა ამზადებდა პლენუმს კერძო მესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ერთ–ერთ საკითხად კი გადიოდა ის, რომ მოქალაქეებს ხელფასით და კანონის დაცვით უნდა ეცხოვრათ. დაგვეალა წერილობით წარმოგვედგინა ჩვენი მოსაზრებები. გავუგზავნე ტექსტი, სადაც ნათქვამი იყო, რომ არათუ კერძო მესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლაზე, არამედ კერძო უნარის გამოვლენაზე უნდა ვიფიქროთ–მეთქი. ვინც მეტს შრომობს, მეტი უნდა მიიღოს–მეთქი. ეს პლენუმი რატომღაც არ ჩატარდა.

იცით, საოცარ ქვეყანაში ვცხოვრობთ. დღეს აღმოჩნდა, რომ სრულიად მოუმზადებელი ვართ იმ ცხოვრებისათვის, რომელიც გვაქვს. ქვეყანას სპობს კორუფცია. ერი ვერ იცავს თავის თავს და ასევე ქვეყანაც. უკვე დაგვეპატრონა უცხოური კაპიტალი. ვინც დავრჩებით, სად გაგვრეკავენ, კაცმა არ იცის. ნაწილი უკვე გარბის და ეს უბედურება საქართველოს უკვე სჭირს.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ხმალს ხელში აძლევენ თვითონ კორუფციონერებს. ეს ცნობილი ფაქტია მსოფლიოში.

1994 წლის 22 ნოემბერს ნეაპოლში, იტალიაში ჩატარდა გაეროს ეგიდით დიდი საერთაშორისო ფორუმი. გაეროს მაშინდელმა გენერალურმა მდივანმა ბუტროს გალიმ შესავალ სიტყვაში თქვა, რომ მსოფლიო იღუპება ტერორისა და მაფიისაგან. ამიტომ ტრანსეროვნული დანაშაულებების წინააღმდეგ უნდა გაერთიანდნენ ძალები. მაფიოზები ერთიანდებიან, ჩვენ კი ცალ–ცალკე ვერაფერს გადაეწყვეტთო. ამიტომ მაფიის წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ჩავუყენოთო ენერგიული კაცი და მან წამოაყენა იტალიის პრემიერ–მინისტრის ბერლუსკონის კანდიდატურა. ტაშით დავამტკიცეთ. ბერლუსკონი სიტყვით გამოვიდა და თქვა, რომ ჩვენ ქვას ქვაზე არ დაეტოვებთ, ისე შეებრძოლებითო მაფიასო.

მე მქონდა შესაძლებლობა, გამოესულიყავი და მეთქვა, რომ თანამედროვე მაფიოზები და ტერორისტები ისეთი მარტივები აღარ არიან, როგორებიც ადრე იყვნენ. ახლა ისინი ძალიან ინტელექტუალები გახდნენ, სხვადა ტელევიზორებთან და გვისმენენ, გვსწავლობენ. თუ ჩვენ მათ წინააღმდეგ ვადგენთ სახალიო გეგმას, იმათ უკვე ზეგის გეგმა შედგენილი აქვთ. სხვათაშორის, უკან დაბრუნებისას, ავსტრიაში გამოვიარე. იქ ერთი ცნობილი მაფიოზი შემხვდა და გამოსვლა მომიწონა, ევროპის ტელევიზიით გისმენეო.

ორი კვირის შემდეგ კი, ბერლუსკონი გადააყენეს მაფიაში მონაწილეობის გამო.

მას ან მაფიოზები მოერივნენ, ან მართლა იყო მაფიოზი. მე კი მგონია, რომ მას მაფიის ხალხი მოერია.

კორუფცია და მაფია ისეთი ჰიდრაა, რომ მის წინააღმდეგ ბრძოლას დიდი ძალისხმევა სჭირდება. აპოკალიფსი რატომ მოდის? ის მოდის მაშინ, როდესაც ადამიანი ყველა ღირებულებას, ღმერთს, გასცვლის მამონაში, სიმდიდრის, ფულის კერპში. სწორედ ამიტომ მოდის განკითხვა.

– საქართველოში ამ ეტაპზე როგორი უნდა იყოს კორუფციასთან ბრძოლის ხერხები და საშუალებები?

– უნდა გითხრათ, რომ წინა პარლამენტში იყვნენ კორუფციაში ჩართული ცალკეული პირები, მაგრამ პარლამენტი იყო გარკვეული აზრით მაფიოზებისაგან უმართავი, მაფიოზები მაინც ვერ მაღებინებდნენ იმ კანონს, რომელიც არ უნდა მიეღოთ. ამ პარლამენტს კი პრობლემა ასეთი აქვს, ახლა ერთი პარტია არის მმართველი პარტია და ეს არის მოქალაქეთა კავშირი. ქვეყანაში, სადაც ხელფასით არ ცხოვრობს პიროვნება, მას აბსოლუტური საფუძველი აქვს კორუმპირებულობისათვის. უმაღლესი სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს აქვთ ორმოცდაათი ლარი თვეში. ზოგს კი ამ დროს ორმოცდაათი ლარის სიგარტი სჭირდება. ე.ი. პიროვნება იძულებული ხდება კანონგარეშე ქმედება ჩაიდინოს.

კანონს პატარაზე რომ დაარღვევ, მას დიდი დარღვევაც მოჰყვება. ბიზნესში საკანონმდებლო ბაზა არ გვაქვს, ყველა რგოლი რომ იყოს დაცული. არადა, იმხელა გადასახადებია, ის რომ მართლა გადაიხადოს ბიზნესმენმა – გაკოტრდება.

სამი წლის წინ მაფიისა და დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლის კომისიას ბატონი ედუარდი ხელმძღვანელობდა, მოადგილე იყო ჯაბა იოსელიანი. მოგვივიდა მწვავე შელაპარაკება. ლაპარაკი იყო ვიღაცის დასჯაზე. მე ვთქვი, დასჯა თუ იქნება, ყველა უნდა დაისაჯოს–თქო. გამორჩეით არ შეიძლება, ჩვენ ყველანი უკანონოდ ვცხოვრობთ–მეთქი. ეს იწყინა მეთაურმა – როგორ უკანონოდო. როგორ და, კუპონით არ შეიძლება კაცი კანონიერად ცხოვრობდეს–მეთქი. მე, მაგალითად, კანონიერად ვცხოვრობო. თქვენ იცხოვრეთ, სახელმწიფოს მეთაურს ლუკმას არაეინ არ უთელის.

მე რომ არაფერს არ ვიპარავ და დღიდან დღემდე თავი ძლივს გამაქვს და არაფერი გამაჩნია, ეს სრულიადაც არ არის საამაყო. მაგრამ საერთოდ სისტემა არ არის მოწესრიგებული. ეს კი სპეციალურად არის გაკეთებული. ჩვენ რომ გულუბრყვილოდ მივენდეთ ეიღაც „კეთილ“ მრჩეველებს, სწორედ ისინი ფიქრობენ იმას, რომ კორუმპირებულ ქვეყანას უფრო ადვილად ჩაიგდებენ ხელში და ნებისმიერ დროს ყურში მოკიდებენ ხელს. სწორედ ამ დროს დაეპატრონებიან ადვილად და მართავენ ქვეყანას. ამიტომ ბევრი ვინმე ხმას ვერ იღებს. კორუფციასთან ბრძოლისათვის მსოფლმხედველობა უნდა გამოვიცვალოთ. ამ იდეოლოგიით კორუფციას კი ვერ მოესპობთ, კორუფცია მოგვესპობს.

ჩვენი ყოფის მოდელი აბსოლუტურად განსხვავებულია სხვა ქვეყნების ყოფისგან. ქართული სიღარიბის ცნება აბსოლუტურად განსხვავდება ამერიკულისგან. ამერიკაში ღარიბი ჩვენს შეძლებულზე უკეთ ცხოვრობს. როდესაც ასეთი უთანასწორობაა, კურსი საფუძველშივე უნდა შეცვალოს პრეზიდენტმა. მთელი მსოფლიო თანამედროვე სოციალიზმისკენ წავიდა. ყველაზე ბრძნული მაინც ჩინური სოციალიზმი მგონია. მილიარდ ორასი მილიონი ადამიანი ისე გაიდა რეფორმებზე, უკან არ წასულა არც ერთი ნაბიჯით. ზევით ავარდა მიღწევები პირველივე დღიდან. ეს იმიტომ, რომ ჩინეთს მოსახლეობის რაოდენობაზე მეტი ჭკუა აქვს. სხვის დუდუკზე არ ცეკვავს. სოციალისტური საბაზრო ეკონომიკა, შერეული ეკონომიკა, კერძო მეწარმეობა უნდა განვითარდეს. ერთი ორი ყაჩაღი რომ ხელში იგდებს ქვეყნის სიმდიდრეს და ქვეყანას თავის სათამაშოდ ხდის, ასე არ გამოვა ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ.

მე ვიტყვი ერთს – კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას ჩვენთან აზრი აქვს, თუ სოციალურ კურსს შეეცვლით. და ვიტყვით – მდიდარს ვართმევ, ღარიბს ვაძლევ, ღმერთი როგორ წამახდენსა. ახლა არის პირიქით, ღარიბს ვართმევთ, მდიდარს ვაძლევთ, ღმერთი ნაღდად წაგვახდენს.

ქართველი ერი დემოგრაფიულად კონცენტრირებული იყო ინტელიგენტურ სფეროებში. განსაკუთრებულ მდგომარეობაშია ქართველი ერი. ის დიდი რაოდენობით წყდება დღეს. ჩვენ უნდა შეეცვალოთ კურსი და უნდა ვაღიაროთ, რომ ეს გზა მცდარი იყო. ჩალის ფასად არის გაყიდული საქართველო და უდიდესი ვალი გვაქვს საზღვარგარეთისა. ვალის გადახდის უნარს კი თანდათან ვკარგავთ. ახლა ჩვენ სესხების აღების პროცესით ვცხოვრობთ და გადახდის დროს რა დღეში ვიქნებით? საერთაშორისო მოვალე რომ მოვა, ვეტყვით, არა გვაქვს ფულიო, მაშინ რაც მ[illegible] მინდა, იმას წავიღებო, გვეტყვის. მიწა–წყალ[illegible] ზურგზე ხომ ვერ მოიკიდებს, ამერიკაში ხო[illegible] ვერ წაიღებსო. არა, ამერიკაში ფულს წაიღებენ ჩვენს მიწა–წყალს კი იმ ფულის მიმცემს მისცემენ. ამ საფრთხის წინაშე ვართ ჩვენ დღეს ნორმალურია ის ქართველი, რომელსაც საქართველოზე გული არ სტკივა? ამაზე ყველამ უნდა ვიფიქროთ. მე არ ვკარგავ იმედს სახელმწიფოს მეთაურს შეუძლია მოულოდნელი ბრუნი გააკეთოს. საქართველოს ისტორიაში შევარდნაძე, როგორც ცკ–ს პირველი მდივანი, გაცილებით პროგრესული მოვლენა[illegible] ვიდრე დღევანდელი პრეზიდენტი, რომლის დროსაც საქართველო პატარავდება დღითი-დღე და განადგურების პირას მიდის ქვეყანა. როგორ შეიძლება ვთქვათ, რომ კარგად ვართ, ან რა დამოუკიდებლობაზე შეიძლება ლაპარაკი. რა დამოუკიდებელი ხარ, ნახევარი ტერიტორია შენ არ გემორჩილება და ქართველები გარბიან საქართველოდან. მორალი არ არის იქ სადაც მორალი არ არის, როგორ უნდა ებრძოლო კორუფციას?

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ილია მეორეს ვიზიტი აზერბაიჯანში

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანის რესპუბლიკაში იმყოფება.

აზერბაიჯანში საქართველოს საელჩოს პრეს-ცენტრის ცნობით, გუშინ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი შეხვდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს ჰეიდარ ალიევს, რის შემდეგაც პატრიარქმა აკურთხა საქართველოს საელჩოს შენობა ქ.ბაქოში. საღამოს ილია მეორემ პრეს-კონფერენცია გამართა.

დღეს, კათოლიკოს-პატრიარქი თანმხლებ პირებთან ერთად გაემართება საინგილოში, კახის, ბელაქანისა და ზაქათალის რაიონებში, სადაც იგი ორ დღეს დაჰყოფს, მოინახულებს ქართულ ეკლესიებს და აღაგლენს წირვას. ჩატარდება ნათლობა და შეხვედრები ქართველ მოსახლეობასთან. (იფრინდა)

აფხაზურმა მხარემ უარი განაცხადა

აფხაზურმა მხარემ უარი თქვა გუშინ გალის რაიონის სოფ. ჭუბურხინჯში გამართულ ტრადიციულ ოთხმხრივ შეხვედრაში მონაწილეობაზე.

როგორც სააგენტოს კორესპონდენტისათვის საგარეო საქმეთა სამინისტროს წყაროებიდან გახდა ცნობილი, აფხაზური მხარე თავის მოქმედებას იმით ხსნის, თითქოსდა 1 ივლისს აფხაზეთის უშიშროების სამსახურისა და მილიციის თანამშრომლებმა გულრიფშის რაიონში ჩატარებული ოპერაციის შედეგად მოკლეს „საქართველოს სადაზვერვო ჯგუფის 5 დივერსანტი“.

დიპლომატიურმა წყარომ კორესპონდენტს აცნობა აგრეთვე, რომ აფხაზური მხარის მტკიცებით, მათ ოპერაციის ადგილიდან ამოიღეს სამი პლასტიკური ასაფეთქებელი საშუალება, 2 ტროტილი, საათის მექანიზმიანი ბატარეა დეტონატორით და სხვა ნივთიერებები. აფხაზთა აზრით, იმის გამო, რომ ჯგუფში შედიოდა 8 კაცი, ხოლო ამ დროისათვის გაუნებელყოფილია 5, ისინი აწარმოებენ დარჩენილი 3 „ქართველი დივერსანტის“ გაძლიერებულ ძებნას.

იმავე წყაროს ცნობით, აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტრომ აღნიშნულთან დაკავშირებით გამოთქვა პროტესტი და უარი განაცხადა ოთხმხრივ შეხვედრაში მონაწილეობაზე. (იფრინდა)

● დღიურები

რევაზ მიშველაძე

ხუთი მრისხანე ხელი

ჩემი წუთისოფლის ბილიკებზე



21/VIII — 21/IX, 94 წ.

საქართველოში პური გააძვირეს.

ათასი კუპონიდან პური ორასიათას კუპონამდე აიყვანეს და ამას ეკონომიკურ რეფორმას ეძახიან.

მწერალთა კავშირში 1924 წლის აჯანყებისადმი მიძღვნილი ორი სალამო გაემართეთ.

ამით მწერალთა კავშირმა თავისი პოზიცია გამოხატა.

მე და აკაკი ბაქრაძე გამოვედით.

ეთქვი – რა კეთილშობილნი ჩანან ისინი, ვინც 1924 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას შეეწირა და რა უბადრუკი ის ჩემი კოლეგები, ვინც საქართველოს თავისუფლების განსაკიდეას, საქართველოს სნგში შესვლას ხელი მოაწერა-მეთქი.

საქართველოს დამონების დაკანონება ისევ გრძელდება.

ქართული ჯარის შექმნა-გამაგრებაზე ლაპარაკიც აღარ არის.

ენგურის ხიდთან ისევ ამაოდ შიმშილობენ ლტოლვილნი.

გრაჩოევმა შევარდნაძე გუდაუთაში ჩააფრინა და არძინბასთვის ხელი ჩამოართმევინა.

მერე სოჭში, იმპერატორ ელცინთან ჩაიყვანა ორივენი, როგორც კურდღლები. ელცინმა ჯერ შევარდნაძე მიიღო და მერე არძინბა.

მერე არძინბა... შევარდნაძისთვის მიცემული პირობის გასაბათილებლად.

ამ შეხვედრიდან მესამე დღეს არძინბამ გამოაცხადა – არავითარი ლტოლვილების დაბრუნება, 1 ოქტომბრიდან მხოლოდ საბუთების გადასინჯვას ეიწყებთო.

ასე იცის იმპერიამ.

თეითმფრინავში შევარდნაძემ განცხადება გააკეთა:

ელცინს ეკითხე, თუ ჩემი პიროვნება არ გაწყობთ, გადამაყენეთ და სხვა დანიშნეთ-მეთქი.

ნუთუ ვერ მიხვდა ამხელა გამოცდილების პოლიტიკოსი, რომ ამით მან საქართველოს დამოუკიდებლობას გადაუსვა ხაზი და მსოფლიოს ამცნო, რომ რუსის დანიშნულია?

გამწარებული ხალხი შიმშილისაგან თავის დასაღწევად კვლავ ჩარჩობს, ხოცავს, ძარცვავს ერთმანეთს.

მე და ლევან სანიკიძე საბურთალოდან მოვდიოდით.

ეკე-საბურთალოს გასასვლელში ჯერ ავტომატის ჯერი მოგვესმა, ხუთ წუთში ზემოდან წითელი „ეიგული“ გადმოაგდო ვიღაცამ. „ეიგულში“ სამი დაცხრილული ბიჭი აღმოჩნდა.

ალბათ, ესეც „გაუხსნელ საქმედ“ დარჩება.

ახლოვდება ჩემი შვილის დაღუპვის წლისთავი.

შარშან ამ დროს იგი ჯერ კიდევ ცოცხალი მყავდა.

ბოლნისში „სიონობა“ დაარსდა, მწერლებიდან ლევან სანიკიძე და მე გამოვედით. ეთქვი: სადაც სიონი დგას, იქ საქართველოა, სადაც ლიხნის ტაძარი, ბიჭვინთის ტაძარი და სხვა ქართული ძეგლები დგას, იქაც საქართველოა, იცოდეს მტერმა-მეთქი.

22/IX — 5/XI,94 წ.

10-დან 17 ოქტომბრამდე ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესი ჩავატარეთ.

კონგრესის თავმჯდომარე რევაზ ჩხეიძეა. მე და ლევან სანიკიძე პრეზიდიუმის წევრები ვართ.

300 ემიგრანტი ქართველი ჩამოეყვანეთ მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან. ამდენი ფული კონგრესმა ვერ მოაგროვა და რ.ჩხეიძემ შემწეობა მთავრობას სთხოვა. მთავრობამ კი, თავის მხრივ, თურმე დასაპატიჟებელთა სიაც შეაცვლევინა რ.ჩხეიძეს და თავისი პირობებიც უკარნახა: კონგრესი ხელისუფლების „ბრძნული პოლიტიკის“ აღსანიშნავ სახეიმო შეხვედრად უნდა იქცესო.

დაიწყო 10 ოქტომბერს, ფილარმონიის დიდ დარბაზში.

რ.ჩხეიძემ გახსნა. გამოდის ილია II, თავისუფალ, დამოუკიდებელ („ეაი, სირცხვილო“) საქართველოზე ლაპარაკობს. გამოდის შევარდნაძე. არც ერთი სიტყვა იმაზე, რომ ხელახლა დაგვიპყრო რუსეთმა და საქართველო იღუპება. გამოდიან უცხოელი ქართველები, ბაგრატიონ-დედოფლები და ბურბონები, ამერიკელი პენსიონერი ზალდასტანიშვილი, ნოე ჟორდანიას ვაჟი – რეჯებ ჟორდანია და ნიკო ნიკოლაძის შვილიშვილი. არცერთი სიტყვა საქართველოს უბედურებაზე. თითქოს, შარშან რუსეთთან საშინელი ომი არ გადაგვეხადოს, თითქოსდა რუსს 30 ათასი ბიჭი არ მოეკლას, 300 ათასი ქართველი სახლ-კარიდან არ გამოეყაროს და 25 ათასი კვ.კმ არ ჩამოეჭრას საქართველოსთვის.

ლამის სისხლი ჩამექცეს.

რა ხდება, ჩვენ ხომ ეს კონგრესი სხვაგვარად გვქონდა ჩაფიქრებული.

ამ დროს ჩემი გვარი მომესმა (ყოჩაღ, ბატონო რევაზ!).

ახლა მე ვიცი:

ტრიბუნაზე რომ შევდექი და დარბაზს გადავხედე, საოცარი სიმშვიდე დამეუფლა.

ერთადერთი ის მაწუხებდა, ვაითუ, შემაწყვეტინონ და სათქმელი ვერ მოვასწრო-მეთქი.

მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგად დამთავრდა.

ეთქვი, საქართველო დღეს ოკუპირებული და ანექსირებულია-მეთქი, ეთქვი, რა გააკეთე, მსოფლიოვ, საქართველოს საშველადმეთქი... ჩემი სიტყვა უცვლელად ერთადერთმა გაზეთმა, „ახალგაზრდა ივერიელმა“ დაბეჭდა).

ტაშის გრიალმა გამომაფხიზლა.

სცენიდან კარგა ხანს არ გამიშვეს.

დაჯდომის დროს შევარდნაძეს შეეაელე თვალი, მიტკლის ფერი ეღო.

მეორე დღეს საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე მთხოვა გამოსვლა რეზო ჩხეიძემ და აქაც თითქმის იგივე გაიმეორე: აქ რუსის ტყვეით განგმირულ ჩვენს შვილებს სძინაეთ-მეთქი (ეს სიტყვა „ლიტერატურულმა საქართველომ“ დაბეჭდა მოგვიანებით, 4 ნოემბერს).

14 ოქტომბერს დასავლეთში გავემგზავრეთ კონგრესის წევრებთან ერთად ლევან სანიკიძე და მე.

მიხარია, რომ მე და ლევანი ამ ბოლო დროს ერთად ვართ, ერთად გამოვდივართ.

ჩვენი აზრები ბევრწილად ემთხვევა ერთმანეთს.

.კარგია, რომ მეგობარი ამავე დროს შენი თანამოაზრეც არის.

სიტყვები ვთქვით ქუთაისშიც და ბათუმშიც. მე და ლევანის საერთო საზეიმო განწყობილებაში დისონანსი შეგვქონდა რუსეთ-საქართველოს ომისა და საქართველოს ოკუპაციის ფაქტის ხაზგასმით.

ახლა სტუმრებზე: რამდენიმე გამონაკლისის გარდა, დაბალი დონის, არაფრის გამკეთებელი უცხოელი ქართველები იყვნენ ჩამოსულნი. საქმეზე (დედა-ენის წაღება, საქართველოს მდგომარეობის შესახებ სტატიის გამოქვეყნება...) რომ დაელაპარაკებოდი, სიტყვას ბანზე აგიგდებდნენ. თავიდან იცილებდნენ კონკრეტული საქმის გაკეთებას. ბოლოს, ბანკეტზე გულმა არ მომითმინა და ვთქვი, სამასი ქართველი ხართ ჩამოსული და თითოეულმა თითო კონკრეტული საქმე თუ არ დაიკალეთ, ამ კონგრესს ფუჭად ჩაეცლილად ჩაეთვლი-მეთქი. შეიშუშნენ. არა გეყავს, არა, ეროვნულად მოაზროვნე დიასპორა სახლვარგარეთ.

სასაფლაოზე გამოვიდა რუსის ქალი გორიუხინა და ტირილით თქვა: ამ საფლავეებს და ბატონ რევაზ მიშველაძეს რომ შეეცქერი, მრცხვენია რუსეთის გამო, თქვენ ხომ რუსებმა დაგიხოცეს შვილები.

მადლობა ღმერთს, იშვიათად, მაგრამ ასეთი რუსებიც არსებობენ.

უნივერსიტეტში გავემართეთ ტერენტი გრანელის (აფხაზეთის უნივერსიტეტმა ითავა) და გაბრიელ ჯაბუშანურის საღამოები.

ბევრი ხალხი მოვიდა.

ახლა ჩვენ ყველაფერი უნდა გაეაკეთოთ, რათა მწერლობას ისევ ნდობით შეხედოს ქართველობამ.

სამწუხაროდ, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რათა მწერლობის და პროგრესული ჟურნალისტიკის ხმა ჩაკლას.

წაგვართვეს ქაღალდი, სტამბები.

აღარ გამოდის „ცისკარი“, „მნათობი“, ჩემი ჟურნალიც, „ღიმილი“, შეფერხდა.

„ლიტერატურული საქართველოლა“ ფეთქავს თამაზ წიფწიკაძის დიდი ძალისხმევით და ისიც 100 ათასის ნაცვლად 2 ათასი იბეჭდება.

ბაბრძელება შემდეგ ნომერში

დასაწყისი იხ. „საქართველო“ №48-65.

ეკლესიათა ... ...

თამაზ ნადარეიშვილს ეჭვი ეპარება

„ადამიანებმა, რომლებიც აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად ჩვენთან კეთილი სურვილებით ჩამოდიან, არ იციან აფხაზეთის მხრიდან



ვისთან აქვთ საქმე“ – განაცხადა „მოამბე–ექსპრესის“ კორესპონდენტთან საუბარში აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ბორის ბერეზოვსკის თბილისში ვიზიტთან დაკავშირებით.

თამაზ ნადარეიშვილის განცხადებით, მას ეჭვი ეპარება აფხაზებთან მოლაპარაკების პერსპექტიულობაში, ვინაიდან აფხაზური მხარე საქართველოსა და აფხაზეთს შორის დამოკიდებულებას ორ სუვერენულ სახელმწიფოსა და თანასწორსუბიექტიანობის პრინციპებზე აგებულ ურთიერთობებზე აგრძელებს საუბარს. ამდენად, მისი ვარაუდით, ბერეზოვსკის ვიზიტი სოხუმში უშედეგოდ დამთავრდება.

თამაზ ნადარეიშვილისვე მტკიცებით, ბერეზოვსკის მიერ შემოთავაზებული დოკუმენტი ქართულ–აფხაზური კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების შესახებ ქართული მხარისათვის მისაღებია, ვინაიდან მასში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და დევნილთა უპირობო დაბრუნება არის დაფიქსირებული. (მოამბე–ექსპრესი)

არ შედგა გადასვენების საკითხთა კომისიების შეხვედრა

არ შედგა სოხუმში 1 ივლისს დაგეგმილი გადასვენების საკითხთა ქართული და აფხაზური კომისიების შეხვედრა. ქართული კომისიის წევრებს აფხაზებისთვის უნდა ეჩვენებინათ, თუ სად არის დამარხული აფხაზთა ნეშტები. გადასვენება გუშინვე უნდა დაწყებულიყო.

აფხაზურმა მხარემ უარი თქვა ქართული დელეგაციის მიღებაზე გუშინ გალის რაიონის აფხაზური მილიციის უფროსის მანქანის დაწვის გამო, რის შედეგად დაიღუპა ავტომანქანის მძღოლი.

1 ივლისს, გულრიფშის რაიონში მომხდარი შეტაკების შედეგად დაიღუპა 8 და დაიჭრა 6 კაცი.

როგორც პრაიმ–ნიუსმა შეიტყო, აფხაზურმა მხარემ გაეროს დამკვირვებლების მეშვეობით გადასცა ქართველებს უარი შეხვედრასთან დაკავშირებით, რაც „სამსახურეობრივი მდგომარეობით“ ახსნეს. (პრაიმ–ნიუსი)

● პასუხი ოპონენტებს

რანი ვიძნებით?

ალექსანდრე ჯაჯია

უპირველეს ყოვლისა, მადლობას ვუხდი „საქართველოს“ რედაქციას იმისათვის, რომ გაზეთის ფურცლებზე თანამედროვე საქართველოს ჭეშმარიტად აქტუალური პრობლემები იხილება. დღეს საკითხი ძალიან მკვეთრად დგას: შეძლებთ თუ არა, ქართველი ერი შეინარჩუნოთ და ქართული სახელმწიფოებრიობა განვავითაროთ, გაგვაჩნია კი ამისათვის აუცილებელი ინტელექტუალური და სულიერი პოტენციალი, შესაძლებელია თუ არა, ქართველი ხალხის კონსოლიდაცია ფიზიკური განადგურებისა და ზნეობრივი დეგრადირების საფრთხის წინაშე? მაგრამ იმისათვის, რომ ხალხის თვითორგანიზება, თვითმობილიზება მოხდეს, ჩვენ უნდა ვიცოდეთ ის რეალური გეოპოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ზნეობრივი მდგომარეობა, რომელშიც აღმოვჩნდით.

ჩემი სტატიის „გეოპოლიტიკა და ქართველთა ბედი“ წინასიტყვაობაში რედაქტორმა, ბატონმა ნოდარ გრიგალაშვილმა აღნიშნა, რომ ელოდა ჩემგან პასუხს ნ.ფოფხაძის პუბლიკაციებზე. უნდა მოგახსენოთ, რომ მე წაიკითხე ამ პუბლიკაციის მხოლოდ მცირე ნაწილი და მას ჩემში დანარჩენის წაკითხვის სურვილი არ გამოუწვევია. ამგვარი სტატიების გარეშეც ცნობილია, თუ როგორ იცვლება ნომენკლატურული ჩინოვნიკების თავიანთი „პატრონის“ მიმართ დამოკიდებულება, როგორც კი იგი „ყოფილი“ ხდება. მითუმეტეს ეს გაკვირვებას არ იწვევს, როცა საქმე ჩვენს პარტნომენკლატურას ეხება, რომელმაც ელვისებურად შეცვალა თავისი დამოკიდებულება არა მხოლოდ თავისი ყოფილი შეფების მიმართ, არამედ იმ იდეოლოგიის მიმართაც, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე ემსახურებოდა და ჩვენ აქტიურად თავს გვახვევდა. მაგრამ თვითონ თორმე მისი „არ სჯერდა“. რაც შეეხება 9 აპრილს, დღეს ეს თემა მე ნაკლებად მაინტერესებს, ვინაიდან, ჯერ ერთი, ამ ტრაგედიის ობიექტური გამოკვლევა (გამოძიებელთა და პროფესიონალ ექსპერტთა მონაწილეობით) ჯერ არ მომხდარა (ჩვენ არაფერი ვიცით თაღლითი სობჩაკისა და მექთამე სტანკევიჩის ცნობილი ვერსიის გარდა). მეორე და, დარწმუნებული ვარ, რომ ფოფხაძის ვერსია საბოლოოდ იქამდე იქნება დაკვანილი, რომ დამნაშავეა პოლიტბიურო, გარდა... შევარდნაძისა, დამნაშავეა პატიაშვილი, როდიონოვი, სხვა ხელმძღვანელები, გარდა... თვით ფოფხაძისა, რომელიც მაშინ საქართველოს დამოუკიდებლობაზე ოცნებობდა და მტკიცედ სწამდა „დასავლური ფასეულობებისა“. და მესამე, რა დროს საუბარია დღეს 9 აპრილზე, როცა ბოლო 5 წლის განმავლობაში საქართველოში ყოველი დღე 9 აპრილია?

მე მიმაჩნია, რომ ნ.ფოფხაძის სტატიები იმ გავრცელებულ პუბლიკაციათა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც საზოგადოების ყურადღებას ქვეყნის აქტუალური პრობლემების მიმართ აღუნებენ, გვაჩვენებენ რა გასული წლების ააპარატო ინტრიგებსა და კომბინაციებს, ანდა თანამედროვე საზოგადო მოღვაწეთა პირადი ცხოვრების თემაზე სხვადასხვა ვარიაციებს. ნუთუ ეს ვინმეს აინტერესებს? და თუ აინტერესებს, მაშინ მთლად ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე...

ამგვარი სტატიების ავტორებთან საჯარო პოლემიკაში მონაწილეობა დროის ტყუილად დაკარგვაა, ხოლო დრო საზოგადოებას ძალზე, ძალზე ცოტა აქვს. ამიტომ მე პრესაში მხოლოდ იმ თემებზე გამოსვლას ვამჯობინებ, რომლებიც საზოგადოებრივ შვენებას აღვიძებენ და იმ ყოვლისმშეველი სისტემური კრიზისიდან გამოსვლის ძებნაზე მიუთითებენ, რომელიც ჩვენ მსოფლიოს არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ეთნოგრაფიული რუკიდანაც გაქრობით ვუმუქრებთ.

ერთ–ერთი ასეთი თემა გეოპოლიტიკურ ურთიერთობათა სისტემაში საქართველოს ადგილი და როლი გახლავთ, რასაც მიეძღვნა ჩემი წერილი „გეოპოლიტიკა და ქართველთა ბედი“. მე მოკლედ შევეხები ამ წერილზე ყველაზე დამახასიათებელ გამოხმაურებას, ხოლო შემდეგ ჩემი ოპონენტების იმ მთავარ გეოპოლიტიკურ პოზიციაზე შევჩერდები, რომელიც არა მხოლოდ მათი სტატიების ლაიტმოტივია, არამედ მთელი თანამედროვე ქართული პოლიტიკური ელიტის კრედოც გახლავთ.

ჯაჭია ვვაშინეგს...

ჯაჭია ვვაშინეგს...

ინტერესით წავიკითხე ბატონ ი.პატარაიძის წერილი „ჭაჭია გვაშინებს...“, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს ავტორმა ჩემი სტატია ნაწყვეტ-ნაწყვეტ წაიკითხა, ვინაიდან ყველა იმ კითხვაზე, რომლებიც მან დამისვა, პასუხი სტატიაშივე არის გაცემული. ასე, ი.პატარაიძე აღშფოთდა: რა უფლება აქვს თურქეთს ჩვენს ტერიტორიაზეო? და იქვე პასუხობს იმით, რაც ჩემი სტატიის მთავარი თემაა: ძლიერი ყოველთვის მართალია, „ასე იყო, ასე არის და ასე იქნებაო“. სხვა ადგილას ის ეჭვს გამოთქვამს იმაზე, რომ ამერიკელ პოლიტიკოსს შეუძლია ნატოს სხვა წევრის მიმართ ავრესიული გამონათქვამები, თუმცა სტატიაში მოცემულია თურქეთისა და საბერძნეთის მტრულ ურთიერთობათა ანალიზი, არადა, ორივე ქვეყანა ნატოს წევრია. აღიარებს რა, რომ ჩვენ იმ პერიოდში ვცხოვრობთ, როცა ამა თუ იმ ერის არსებობის საკითხიც წყდება („ეს საშუალო დონის პოლიტიკოსისთვისაც არის ცნობილი“), ი.პატარაიძე ორი აბზაცის შემდეგ ირონიულად მეკითხება: ვინ შეადგინა იმ ერთა სია, რომელთა ხარჯზეც გადაწყვეტილია პლანეტის მოსახლეობის შემცირება და სად ინახება ივიო. ასეთმა არათანმიმდევრულმა მსჯელობამ გამაკვირვა კიდევაც. ამავე დროს ი.პატარაიძის წერილი რამდენიმე შენიშვნას შეიცავს, რომლებიც დამატებით ახსნას საჭიროებს. მაგალითად, ივი არ თვლის საყურადღებოდ ივანე ბეგზინსკის გამონათქვამებს იმიტომ, რომ ის გადამდგარი პოლიტიკოსია: „როდიდან გახდა გადამდგარ პოლიტიკოსთა გამონათქვამები ქვეყნის რეალური პოლიტიკის საფუძველი?“, მაგრამ ბოლო 20 წლის ამერიკული პოლიტიკა, მათ შორის ქლინტონის ადმინისტრაციის ახლანდელი პოლიტიკაც, ქისინჯერ-ბეზეზინსკის საგარეო პოლიტიკური კონცეფციის რეალიზება გახლავთ (როგორც იცით, ორივე გადამდგარია). აი, ეს კი ზუსტად საშუალო დონის პოლიტიკოსმაც უნდა იცოდეს. ი.პატარაიძეს მიაჩნია, რომ მე რუს პოლიტიკოსებს „ირიმიტიულ ლაჩრებად“ წარმოვსახავ და მეკითხება, თუ საიდან ვიცი იმის შესახებ, რომ რუსეთის სახელმწიფო სტრუქტურები ქართული პრობლემატიკით სისტემატურად და სერიოზულად არ არიან დაკავებული. მე მიხდებოდა შეხვედრები და ხანგრძლივი საუბრები რუსეთის თითქმის ყველა ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწესთან – წამყვან პარტიათა და საპარლამენტო ფრაქციების ხელმძღვანელებთან, წარსული და ახლანდელი მთავრობის ძირითად ფიგურებთან. ამ ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობა პოლიტიკური თამაშებითა და ააპარატო ინტრიგებითაა დაკავებული, რომელიც კიდევაც მოსკოვის საზღვრებით შემოიფარგლება. მიმდინარეობს ხელისუფლების დაყოფის, ფინანსურ-ეკონომიკური გავლენის სფეროების გადანაწილების ინტენსიური პროცესი და ამ ფონზე გეოსტრატეგიული ამოცანები მეორე ადგილზე გადადის, უკეთეს შემთხვევაში ხელისუფლების საშუალო რგოლის საქმიანობის ობიექტად იქცევა. გარდა ამისა, რუსეთის პოლიტიკის საკანონმდებლო ფიგურების მნიშვნელოვანი ნაწილი ანგაჟირებულია ისევე, როგორც საქართველოს ხელმძღვანელობაც. ამიტომაც ვწერდი, რომ საქართველოში რუსეთის პოლიტიკის აქტიურობის დონე გაზვიადებულია და თანამედროვე პირობებში რუსეთს არ ძალუძს დამუკიდებელი გეოსტრატეგიის ეფექტური გატარება. ი.პატარაიძე წერს, რომ ჩემს მიერ დასტულ ხიფათთა ფონზე შეიძლება ერთი დასკვნა გაკეთდეს – საქართველო სსრკ-ში უნდა შეიდესო. თავს ნებას მივცემ შევახსენო, რომ სსრკ არ არსებობს უკვე 6 წელია. ხოლო თუ ავტორი რუსეთთან საერთო კავშირის შექმნას გულისხმობს, ამისთვის საქართველოს სურვილის გარდა რუსეთის თანხმობაცაა საჭირო. აქ კი არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ ბელორუსიას – მდიდარ ევროპულ ქვეყანას, რომელიც რუსეთისათვის ყველაზე ნათესაური ხალხითაა დასახლებული და რომლის მოსახლეობის 80% კავშირისკენ აქტიურად მიისწრაფვის – რუსეთის პოლიტიკური ელიტა უკუაგდებს ყოველგვარი ხერხის მეშვეობით, ხოლო ლუკაშენკოსაგან – გაერთიანების იდეოლოგიისგან – რუსეთის პრესა და ტელევიზია მტრის სახეს ჰქმნის. ნუთუ ამ ფაქტის ფონზე სასაცილო არ ხდება საბჭოთა კავშირის აღდგენაზე თითქოსდა მიმართული რუსეთის ძალისხმევის შესახებ ბოდეითი იდეა, რომელსაც ქართველი პოლიტიკოსების უმრავლესობა ჯიუტად უწევს ექსპლუატაციას? რუსეთში გაიმარჯვა, შესაძლოა საბოლოოდ გაიმარჯვა იმ თვალსაზრისმა, რომლითაც ხელმძღვანელობდა ვ.ლენინი, როცა 1920 წელს წერდა: „რისთვის გვჭირდება საქართველო?.. მოგვიწევს მისი კვება...“ გარდა ამისა, მე არა ერთხელ ხაზს ვუსვამდი და ახლაც მინდა გავიმეორო: **საქართველო არ აღორძინდება მანამ, სანამ მუქთახორა ფსიქოლოგიას ბოლო არ მოეღება.** არც სსრკ, არც ნატო, არც აფრიკის კავშირი ჩვენ არ შეგვინახავს და ჩვენს სახელმწიფოებრიობაზე არ იზრუნებს. რუსეთთან ისევე, როგორც დასავლეთთან ჩვენი ურთიერთობა უნდა ეფუძნებოდეს სრულიად ახალ პრინციპებს, რომელიც ძირფესვიანად განსხვავდება იმისაგან, რაც დღეს ორივე ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ ხორციელდება. ჯერ კიდევ წინაარჩევნო კამპანიის დროს მე ვთქვი, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა იმით კი არ უნდა იყოს შეწუხებული, პრორუსული თუ პროდასავლური პოლიტიკა გაატაროს, არამედ იმაზე იფიქროს, თუ როგორ გახადოს ივი **პროქართული.**

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ნადიბაიძემ პრეტენზიები წაუყენა ბატურინს



„რუსეთი ცალმხრივად აჭიანურებს ორ ქვეყანას შორის სამხედრო–ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ამოქმედებას, რომელიც ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომაზე გაფორმდა“ – თქვა გუშინ საქართველოს სამხედრო უწყების ხელმძღვანელმა ვარდიკო ნადიბაიძემ საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ჩამოსულ რუსეთის თავდაცვის საბჭოს მდივანთან იური ბატურინთან შეხვედრაზე.

„პაველ გრაჩოვის გადაყენების გამო ეს შეთანხმება ხელმოუწერელი დარჩა რუსეთის მხრიდან“ – თქვა ნადიბაიძემ.

როგორც პრაიმ–ნიუსს თავდაცვის სამინისტროს პრეს–ცენტრში აცნობეს, აღნიშნული დოკუმენტი რუსეთის ვალდებულებებს განსაზღვრავს საქართველოს სამხედრო-ტექნიკური აღჭურვის საკითხებში დახმარების გაწევაში.

თავდაცვის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე, რომელიც ჯერ ვარდიკო ნადიბაიძესა და ბატურინს შორის პირისპირ, ხოლო შემდეგ გაფართოებული სახით, საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის ნუგზარ სეჯაიასა და თავდაცვის სამინისტროს გენერლების ჯგუფის მონაწილეობით გაფართოებული სახით წარიმართა, ორ ქვეყანას შორის სამხედრო-სტრატეგიული პატნიორობის, აფხაზეთის პრობლემის დარეგულირების, საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზებისა და შავი ზღვის ფლოტის საკითხები განიხილეს.

როგორც პრაიმ–ნიუსისთვის გახდა ცნობილი, შავი ზღვის ფლოტთან დაკავშირებით ვარდიკო ნადიბაიძის პრეტენზიების საპასუხოდ რუსეთის თავდაცვის საბჭოს მდივანმა ბატურინმა განაცხადა, რომ საქართველოს მიერ „თვითნებურად პრივატიზებული“ ფოთის სამხედრო–საზღვაო ბაზის ინფრასტრუქტურის ღირებულება გაცილებით აღემატება საქართველოს მიერ მოთხოვნილი ხომალდების ფასს. (პრაიმ–ნიუსი)

არჩევნები 1998 წელს ჩატარდება

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები 1998 წლის გაზაფხულზე გაიმართება – განუცხადა ჟურნალისტებს გუშინ გამართულ პრეს–კონფერენციაზე მოქალაქეთა კავშირის ერთ–ერთმა ლიდერმა, პარლამენტის წევრმა გიორგი გაჩეჩილაძემ.

მისი თქმით, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ არსებული კანონპროექტი, რომელიც პარლამენტმა არ მიიღო საგაზაფხულო სესიის ბოლო დღეებში, წინააღმდეგობაშია კონსტიტუციასთან. ამიტომ, პარლამენტი იძულებული გახდება შემოდგომაზე დაუბრუნდეს მის განხილვას.

ფრაქცია „სახალხოს“ ლიდერის მამუკა გიორგაძის აზრით, მოქალაქეთა კავშირმა კანონპროექტი სპეციალურად ჩაგდო, რათა ადგილობრივი არჩევნები შემოდგომაზე არ ჩატარებულიყო.

საპარლამენტო უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის უთანხმოებას კანონპროექტის ის მუხლი იწვევს, რომლის მიხედვით ადგილობრივი ადმინისტრაციების ხელმძღვანელები პრეზიდენტის მიერ უნდა დაინიშნონ. ოპოზიცია მოითხოვს, რომ ხელმძღვანელები მოსახლეობამ აირჩიოს. (პრაიმ–ნიუსი)

ქურთები იარაღს რუსეთიდან ილებენ

სააგენტო „ტურანის“ ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვის მონაცემებით, რუსულმა მაფიამ სხვადასხვა სახის შეიარაღება მიაწოდა ქურთების მუშათა პარტიის წარმომადგენლებს.

გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებული მოხსენების თანახმად, რუსეთის დამნაშავეთა დაჯგუფება 20 კაცის შემადგენლობით, იარაღის მიწოდების ტრანსპორტირებისათვის იყენებს პოლონეთის, სლოვაკეთისა და იუგოსლავიის ტერიტორიებს. იმავე ინფორმაციით, დამნაშავეთა ჯგუფში შედიან რუსეთის არმიის ყოფილი ოფიცრები და მოსკოვში მაღალი ეშელონების ოფიციალური პირები.

ამერიკის დაზვერვის მონაცემებით, იარაღით დატვირთული სატვირთო მანქანები დაბრკოლების გარეშე ხვდებიან თურქეთის ტერიტორიაზე სარფისა და კაპიკულეს სასაზღვრო გამშვები პუნქტებიდან, რის შემდეგაც თურქეთის ტერიტორიაზე იარაღი საიდუმლოდ გადაეცემა ქურთებს.

ამასვე ადასტურებს თურქული გაზეთი „თურქეშ დეილი ნიუსის“ ცნობა ქურთების მხრიდან ჩრდილოეთ ერაყის ტერიტორიაზე თურქეთის ვერტმფრენების წინააღმდეგ რუსული რაკეტების გამოყენების შესახებ. (მოამბე-ექს-პრესი)

მასხადოვი ბაქოს ეწვია

პირველ ივლისს ჩეჩნეთის პრეზიდენტი ასლან მასხადოვი ოფიციალურ ვიზიტად ბაქოს ეწვია. მას განზრახული აქვს მთელი რიგი საკითხების განხილვა, მაგრამ უმთავრესი ყურადღება ეკონომიკას დაეთმობა. კერძოდ, განიხილავენ ბაქო-ნოვოროსიისკის ნავთობსადენით ჩეჩნეთის გავლით ადრეული აზერბაიჯანული ნავთობის ტრანსპორტირების საკითხს. დაგეგმილია ჩრდილოკავკასია-აზერბაიჯანის დამაკავშირებელი რკინიგზის რიტმული მუშაობის აღდგენისა და როსტოვი-ბაქოს საავტომობილო მაგისტრალზე მოძრაობის განახლების პრობლემების დეტალური განხილვა. (მოამბე-ექსპ-პრესი)

ელცინი სომხეთის პრეზიდენტს იწვევს

ორშაბათს, რუსეთის ვიცე-პრემიერმა, ვალერი სეროვმა სომხეთის პრეზიდენტს, ლევონ ტერ-პეტროსიანს ბორის ელცინის მოწვევის წერილი გადასცა, სადაც ელცინი სთავაზობს სომხეთის პრეზიდენტს 28-29 აგვისტოს ეწვიოს მოსკოვს. სეროვმა იმედი გამოთქვა, რომ შეხვედრისას ხელი მოწერება სომხეთსა და რუსეთს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას. ვალერი სეროვმა ერევანში ვიზიტის დროს სომხურ მხარესთან განიხილა ატომური ენერგეტიკის, სარკინიგზო კავშირის, სატრანზიტო გადაზიდვებისა და საბანკო სფეროში თანამშრომლობის საკითხები. იმ დღესვე ლევონ ტერ-პეტროსიანი შეხვდა რუსული კომპანია „გაზპრომის“ ხელმძღვანელს რემი ვიახირევს, რომელზეც განიხილეს თანამშრომლობისა და ერთობლივი საქციო საზოგადოებების შექმნის პერსპექტივები. (მოამბე-ექს-პრესი)

● წიგნიდან „სუკი და ძალაუფლება“

ერროვნული პენსიონერთა

ჩეკისტური მეთოდები და პოლიტიკური სამძებრო

ფილიპ ბობკოვი

ი.ვ.ანდროპოვი

ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყო 1967 წელს, როდესაც უშიშროების ორგანოებში თავმჯდომარის თანამდებობაზე მოვიდა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი.

ეს ამბავი სამსახურისკენ გზად მიმავალმა გავიგე. გავშალე გაზეთი და პირველ გვერდზე მისი დანიშვნის შესახებაა ცნობა, ხოლო ბოლო გვერდზე – ვ.ეესემიჩასტნის განთავისუფლების შესახებ.

ვერ ვიტყვი, რომ აღფრთოვანებული დავრჩი, რადგან ანდროპოვს კარგად არ ვიცნობდი. იშვიათად მიხდებოდა მასთან ურთიერთობა.

უშიშროებაში იმ დროს რთული და დაძაბული მდგომარეობა იყო. იგი განისაზღვრებოდა არა სამსახურებრივი პრობლემებით, ან ქვეყნაში არსებული მდგომარეობით, არამედ ხელმძღვანელ მუშაკთა სხვადასხვა დაჯგუფებათა შორის უთანხმოების მიხედვით. მე პირველად ვიგრძენი, თუ რაოდენ საშიშია კარიერიზმი და ძალაუფლებისაკენ სწრაფვა. ძირითადი ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ ყოფილი პარტიული მუშაკები, რომლებიც უშიშროებაში მოვიდნენ 1951 წელს, აბაკუმოვის დაპატიმრების შემდეგ. მათ შემდგომში მნიშვნელოვანი პოსტები დაიკავეს. ათიოდე წლის შემდეგ თავის თავს ისინი პროფესიონალ ჩეკისტებად თვლიდნენ და წამყვან პოზიციებზე აცხადებდნენ პრეტენზიას. მათ არ მოსწონდათ ახალი კადრების მოსვლა უშიშროებაში, რომელთაც შელეპინმა და სემიჩასტნიმ გაუხსნეს გზა. „მოხუცებს“ არ უნდოდათ პოზიციების დათმობა. გარკვეულწილად სწორედ ამან გადაწყვიტა სემიჩასტნის ბედი.

უეჭველად პროფესიონალ მუშაკებს. მათ მიმართ უნდობლობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. არადა, ოპერატიული სამუშაოს მთელი სიმძიმე მათ მხრებზე გადადიოდა. როგორ აღწყობს საქმეს ახალი თავმჯდომარე? ი.ვ.ანდროპოვის მოსვლისთანავე წინა პლანზე ყოფილი პარტიული მუშაკები გამოვიდნენ. ისინი ცდილობდნენ ახალი თავმჯდომარის ნდობა მოეპოვებინათ, მის მომხრეებად გაესაღებინათ თავი. სინამდვილეში, მათი უმრავლესობა საკუთარი ინტერესებისათვის იბრძოდა.

სუკ-ის სისტემაში, იმ დროს, არსებობდა სამი ძირითადი ოპერატიული სტრუქტურული ქვეგანყოფილება: დაზვერვა, კონტრდაზვერვა და სამხედრო კონტრდაზვერვა. კონტრდაზვერვის ხელმძღვანელობამ სულ ცოტა ხნის წინათ მძიმე დარტყმა განიცადა – კონტრდაზვერვის თანამშრომელი ნოსენკო წავიდა საზღვარგარეთ მივლინებაში. იგი დარჩა შვეიცარიაში. ანდროპოვის დანიშვნის მომენტისათვის კოლექტივი მეგობრულად შრომობდა გამოცდილი უფროსის ს.გ. ბანნიკოვის ხელმძღვანელობით. მისი ხელმძღვანელობა, ერთის გამოკლებით, კარგად მომზადებული პროფესიონალები იყვნენ. პირველ რიგში საჭირო იყო ოპერატიული მუშაობის არქაული მეთოდებისაგან განთავისუფლება, ანალიტიკური სამსახურის გაძლიერება, კონტრდაზვერვის სისტემის ორგანიზაციის ახალი პრინციპების შემუშავება. ყველა არ იყო ახალი მიმართულებების მომხრე, თუმცა, ენთუზიაზისტები მაინც გამოჩნდნენ.

ერთიანი ძალებით შევძელით სრულიად ახალი სამმართველოს ჩამოყალიბება, რომელსაც სათაურში ჩაუდგა გამოცდილი ს.მ.ფედოსეევი. ამ სამმართველოში ძლიერი კოლექტივი მუშაობდა, რამეთუ ხალხის შერჩევა ხდებოდა სათითაოდ. მე საკმაოდ დიდი ძალა დავხარჯე ანალიტიკური სამმართველოს ორგანიზაციის საქმეში და უკვე ვაპირებდი ახალი იდეის შეთავაზებას, სუკ-ის უმაღლეს სკოლაში სპეციალური კათედრის ჩამოყალიბების შესახებ – ანალიტიკოსების კადრების მომზადების მიზნით, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი წამოწყებები ყველგან მზარდაჭერას პოულობდნენ. ოპერატიული და ხელმძღვანელი მუშაკების დიდი ნაწილი ანალიზს მეორეხარისხოვან საქმედ თვლიდა. ისინი ინტუიციას და გამოცდილებას უფრო ეყრდნობოდნენ.

მრავალ სახელმწიფო დაწესებულებაში და მათ შორის სუკ-შიც დამკვიდრდა არასასურველი პრაქტიკა: „პირველმა მოახსენე შემთხვევის შესახებ“, ასე ვთქვათ უფროსობის ინფორმირება. ანალიზი კი მონაცემების შემოწმებას და დაზუსტებას მოითხოვდა, რაც ბუნებრივია, ხელს უშლიდა ნაჩქარევად ამბის მიმტანებს.

სულ მალე მე მომიწია მე-5 სამმართველოში გადასვლამ. მე გულისტკივილით დავშორდი ჩემს „პირმშოს“. თუმცა, განვახლე თუ არა მუშაობა ახალ ადგილზე, ისევ ანალიტიკური სამსახურის შექმნას მივყავი ხელი. ამჯერად არავითარი დაბრკოლება არ შემხვედრია. უკვე ყველას შესანიშნავად ესმოდა, რომ ქვეყანაში დაწყებული პოლიტიკური პროცესები, რომელთა განვითარებაც იმედებს უსახავდა დასავლეთის სპეცსამსახურებს, ღრმა ანალიზს მოითხოვდნენ. აუცილებელი იყო კონტრდაზვერვის მონაცემების შედარება მოწინააღმდეგის ჩანაფიქრთან და მის რეალურ მოქმედებებთან. ასეთი ანალიზი მანამდე არავის გაუკეთებია. არავის არ ჰქონდა სურვილი, არასასურველი პერსპექტივების შესახებ მიეწოდებინა უფროსობისათვის ინფორმაცია, რაც არა მარტო გასაიდუმლოებულ, არამედ მოწინააღმდეგის პროპაგანდისტულ აქციებშიც იმალებოდა.

ი.ვ.ანდროპოვის დანიშვნის შემდეგ გაიზარდა დაწოლა კონტრდაზვერვაზე. დადგა საკითხი ბანნიკოვის განთავისუფლების შესახებ. ლაპარაკი იყო სხვა თანამშრომელთა დათხოვნის შესახებაც. მე ვიგრძენი, რომ ჩემს თავზეც შავი ღრუბლები შეიყარა. სავარაუდოა, რომ მეც სემიჩასტნის კაცად მთვლიდნენ, ანდა რომელიმე ძველი ხელმძღვანელის მომხრედ და ანდროპოვთან შესაბამისი ინფორმაცია მივიდა. მე ვთვლიდი, რომ ყოველ წუთს შეეძლოთ ჩემი დათხოვნა და საამისოდ მოვემზადე. და აი, რეკავს ტელეფონი – მიხმობს კომიტეტის თავმჯდომარე.

მე საათს დავხედე: საღამოს ათი საათია. ძმიმე დღე მქონდა – ყრილობელი თათრების საკითხი წყდებოდა: „ხომ არ სჯობდა ვიზიტის ხვალამდე გადადება?“ – გავიფიქრე მე.

ანდროპოვი აუღელვებლად შეხვდა ჩემს გამოჩენას. შემომთავაზა დაჯდომა და დამიწყო გამოკითხვა ცხოვრების, სამსახურის, ორგანოებში წარმოქმნილი მდგომარეობის შესახებ. დაინტერესდა, როგორ წარმომედგინა უშიშროების ორგანოების სისტემის განვითარების პერსპექტივა და საერთოდ, როგორ ვიფასებ ქვეყნაში შექმნილ მდგომარეობას.

საუბარი დიდხანს გაგრძელდა. მე შეშფოთება გამოვთქვი დასავლეთის მზარდი აგრესიის მიმართ, რომელსაც ჩვენ ხშირად საკადრის წინააღმდეგობას ვერ ვუწევთ.

აქ, მოულოდნელად, ანდროპოვმა შემომთავაზა ახლად შექმნილი იდეოლოგიურ დივერსიებთან მებრძოლი სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობა.

– როგორც ჩანს, კონტრდაზვერვის მთავარ სამმართველოს ჩემი კანდიდატურა არ მოსწონს, – განვაცხადე მე, – გამოდის, რომ ან თანხმობა უნდა მოგცეთ, ან განცხადება უნდა დაეწერო განთავისუფლების შესახებ...

იური ვლადიმერის ძემ მაინც მთხოვა, პასუხი გამეცა დასმული შეკითხვისათვის. აინტერესებდა, რა აზრისა ვიყავი ახალი ქვედანაყოფის შესახებ. მე ეჭვი გამოვთქვი: ხომ არ იქნება ეს ძველის გამეორება, ისეთი, როგორიც იყო სიდუმლო პოლიტიკური განყოფილება (სგგ), რომელიც პოლიტიკური ოპოზიციის ძიებით იყო დაკავებული და უკანასკნელ ათწლეულში დაუნდობელი კრიტიკის ობიექტს წარმოადგენდა.

– არა, ახალი სამმართველო არ იქნება სგგ-ს განმეორება, – შემომედავა ანდროპოვი, – მან უნდა დააკმაყოფილოს დღევანდელი დღის მოხოვნები. შეუძლებელია არ დამეთანხმო იმაში, რომ დღეს ჩვენს წინააღმდეგ

მძლავრი ფსიქოლოგიური ბრძოლა მიდის, ეს ხომ ნამდვილი იდეოლოგიური ომია. ახლა წყდება საკითხი: ვინ-ვის. ჩვენ, კომუნისტები, მტკიცე პოზიციაზე ვდგავართ და გადაწყვეტილი გვაქვს გავაძლიეროთ საბჭოთა სახელმწიფო, ხოლო ჩვენი იდეოლოგიური მოწინააღმდეგეები ძალებს არ ზოგავენ მის დასამხობად. ჩვენ უნდა ვიცნობდეთ მათ გეგმებს და მუშაობის მეთოდებს, ვხედავდეთ ქვეყნაში მიმდინარე პროცესებს, ვიცოდეთ ხალხის განწყობილება. ამას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ უნდა მოვახერხოთ ათასნაირი წყაროების გამოყენება: როგორც ლეგალური, სოციოლოგიური ინსტიტუტების მონაცემები, პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაცია, ასევე ჩვენი სპეცსამსახურების მონაცემები. იმ მოვლენათა გარდა, რომლებიც ზედაპირზე ჩანს, არსებობს ფარული ძალები. აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩვენი ორგანოების მუშაობა. აი, მაგალითად, დღეს ჩვენ ყრილობელი თათრების პრობლემით ვიყავით დაკავებული. შენ ერთ მხარეს ხედავ, ხოლო ის, ვინც ძირფესვიანად არ იცნობს საკითხს, სულ სხვა რამეს ხედავს. აუცილებელია შეგვეძლოს შინაგანი, სიღრმისეული საკითხების წვდომა. მე ასე წარმომიდგენია: ახლად შექმნილმა სამმართველომ უნდა გააკეთოს მოვლენათა ღრმა ანალიზი და მოგვცეს შეძლებისდაგვარად ზუსტი პროგნოზი. ახალმა სამმართველომ უნდა შეძლოს, წინააღმდეგობა გაუწიოს იდეოლოგიურ ექსპანსიას, რომელიც საზღვარგარეთიდან მოდის. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს მუშაობის ჩეკისტურ მეთოდებს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დასაწყისი იხ. „საქართველო“ №48-65.

დაემხო XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ლეგენდა

ნურც გაფრინდები...

რკინის ფარდის ახსნამ, ორივე მოქიშპე მხარეს გაუხსნა ხელები. ადრე თუ მსგავს ინფორმაციას ყურებდაცქვეტილი და თვალებდაჭყეტილი ვისმენდით, ახლა „მფრინავი თეფშში“ ჩვენს მაგიდაზე რომ დაეცეს, აუელელებლად დავისხამთ მასზე საჭმელს, ხოლო მის პილოტებს საოჯახო ალბომსაც მივაწვდით დასათვალიერებლად.

მოკლედ, აივსო ქვეყანა „მფრინავი თეფშებით“. ხან აქ ჩამოვარდება და ხან, იქ ყველაფერში მთავრობაა დამნაშავე. არ უნდა ხალხს სიმართლე გვითხრას. თვით ამერიკაც როდის არის მოსვენებული. სულ ახლახანს პენტაგონმა უარყო 1947 წელს ნიუ-მექსიკის შტატში ჩამოვარდნილი უფო-ს არსებობა. არადა ხალხს უნახავს. 81 წლის ფრენკ კაუფმანი მაშინ სულ 31 წლისა იქნებოდა და ალბათ შესანიშნავი მხედველობა და სმენა ჰქონდა. მას კარგად ახსოვს, რომ უცხოპლანეტელები, რომლებიც სამხედროებმა საჩქაროდ გადამალეს ჩამოვარდნილი აპარატიდან, 1,65 (ერთი მეტრი და სამოცდახუთი სანტიმეტრი) სიმაღლის, ფერფლისფერი სახისა იყვნენ და მელოტები... ბოდიში, თმის საფარველი არ ჰქონდათ. სულ 8 წლით უმცროსი იყო იმ დროს სონია მეინარდი ბატონ ფრენკზე და, მადლობა ღმერთს, სმენა, მხედველობა და მეხსიერება მაშინ მასაც არ ღალატობდა. მას ისიც კი ახსოვს, რომ „უფო“ 150 იარდი იყო სიგრძით.

პენტაგონის განცხადებით ეს ყველაფერი უფო-ს კატასტროფა კი არა, საბჭოთა სამხედრო ობიექტების დასაზვერად გამიზნული ზონდი იყო. მაგრამ პოლკოვნიკ ჯონ ჰეინსს, რომელსაც მიჰყავდა პრეს-კონფერენცია, ისეთი კითხვები დააყარეს, რომ წელში ვერ გასწორდა. კერძოდ, საიდან აღმოჩნდა 1953 წელს გაშვებული ზონდი 1947 წელში, და სხვა ამგვარები.

უარყოფა ეგრე არ უნდაო და ახლა იაპონიის ზღვაში მოადინა ზღართანი „მფრინავმა თეფშმა“. უცნაური ის არის, რომ დაცემის ადგილის მახლობლად არანაირი თვითმფრინავი ან ვერტმფრენი არ ყოფილა დაფიქსირებული. ერთადერთი მოწმეები აღმოჩნდა ორი იაპონელი მეკვინთავი, რომლებიც ფსიქიურ აშლილობას არ უჩივიან. მყვინთავებმა დაუყოვნებლივ შეატყობინეს ყველაფერი ქალაქ კასუმის უშიშროების სამმართველოს. მერედა, როგორ გგონიათ? არც იაპონიის მთავრობაა სხვებზე ნაკლები, ზემოთ რომაა, ორი იმდენი მიწის ქვეშაა. ჰოდა, მათაც გაჩუმება ამჯობინეს.

ასე რომ, ძვირფასო მკითხველო, არ დაიჯეროთ, სანამ საკუთარი თვალით არ ნახავთ და თუ ნახავთ, ჩათვალეთ, რომ მოგეჩვენათ. თორემ ამერიკელები უკვე 100 ათასიანი ტურისტული რაზმის მოლოდინში არიან და კარგი ბიზნესის დატრიალებასაც აპირებენ. 50 წლის იუბილესაც ხომ ზეიმობენ და ზეიმობენ. ეს ჩვენი საქართველოა, რომ არაფერი ვარდება, თორემ აბა ფირმაში ნახეთ.

ჯ.მ.

ჩვენთან უცხოპლანეტელები არ მოფრენილან

ეროვნული გაზეთი

„დოკუმენტებს სასამართლოს გავაცნობ“

გუშინ ჩუღურეთის რაიონში უნდა შემდგარიყო სასამართლო პროცესი. სარჩელი შეიტანა ადვოკატმა ქართლოს ღარიბაშვილმა ადვოკატ შალვა რჩეულიშვილის წინააღმდეგ. სასამართლო პროცესზე რჩეულიშვილმა ნახევარი საათით დააგვიანა. „პრემიერის“ კორესპონდენტის კითხვაზე ადვოკატმა შალვა რჩეულიშვილმა განაცხადა, რომ შეტყობინება სასამართლოდან არ მიუღია და პროცესის გამართვის თაობაზე ინფორმაცია გაზეთიდან შეიტყო. მან განაცხადა, რომ სარჩელი კანონის დარღვევითაა აღძრული, რადგან თვითონ, ესე იგი მოპასუხე, ჩუღურეთის რაიონში არ ცხოვრობს. ყველაფერი კეთდება, რომ მოვწყდე ჩემს საქმიანობას, ესე იგი „ომეგას“ ინტერესების დაცვას. ეს კი ზეწოლის ერთ-ერთი ფორმაა – განაცხადა მან. „როცა სასამართლოში მეტყვიან, ხომ არ დგას ვინმე „ელიზის“ უკან, მაშინ ჩემს ხელთ არსებულ, ყველა დოკუმენტს გავაცნობ სასამართლოს“ – დასძინა შალვა რჩეულიშვილმა. (პრემიერი)

კოპიტნარში საგანგაშო მდგომარეობაა

საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროს ინფორმაციით, აფხაზეთიდან დევნილთა კომპაქტურად განსახლების ადგილში, კოპიტნარში უაღრესად საგანგაშო სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა შეიქმნა. კერძოდ, დაზიანებულია კანალიზაციის სისტემა, რის გამოც ტერიტორია და სასმელი წყალი დაბინძურებულია და იქმნება მწვავე ინფექციური დაავადებების აღმოცენება-გავრცელების რეალური საშიშროება. სწორედ ანალოგიურმა მდგომარეობამ განაპირობა გასულ წელს ამ დასახლებაში ნაწლავთა მწვავე ინფექციები და „ა“ ვირუსული ჰეპატიტებით (ბოტკინით) ათობით ადამიანის ერთდროული დაავადება. ჯანმრთელობის მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ თხოვნით მიმართა პრეზიდენტს რწმუნებულს თემურ შაშიაშვილს, მიიღოს სასწრაფო ზომები აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად. (პრემიერი)

ქართველი „ოსტაპ ბენდერები“

ამ ბოლო დროს მოსახლეობის მასიური თავშეყრის ადგილებში, განსაკუთრებით მეტრო „დიდუბისა“ და „სამგორის“ გასასვლელებში გაჩნდნენ ფულის იოლად მშოვნელი ქართველი „ოსტაპ ბენდერები“. ლატარია მრავალგვარია, ისინიც „ლატარიას“ ათამაშებენ და მოგება 10 ლარიდან აქაც აღთქმულ 5000 ლარამდეა. აზარტში შესული მოქალაქენი აგებენ უკანასკნელ კაპიკებს, საათებს, ოქროს ნივთებს. პოლიცია კი თვალს „არიდებს“ ამ ფაქტს. მეტროს საუწყებო დაცვის სამსახურში „პრემიერის“ კორესპონდენტს აცნობეს, რომ მათი უფლებამოსილება არ ვრცელდება „მეტროს“ შესასვლელი კარების მიღმა, ამდენად ისინი პასუხისმგებელნი არ არიან დაიცვან მოქალაქეთა უფლებები „მეტროს“ მიმდებარე ტერიტორიაზე. საკითხის მოგვარება შესაბამისი რაიონების პოლიციის სამსახურებს ევალებათ. თუმცა, მეტროს დაცვის მუშაკებმა ისიც დასძინეს, რომ შეეცდებიან ყურადღება გაამახვილონ ამ პრობლემაზეც. (პრემიერი)

იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

ბინები

იყიდება ან იცვლება ვაკეში თამარაშვილის ქ.№11 მე-10 სართულზე 5 ოთახიანი ბინა ზომიერი რემონტით და დიდი გარაჟით, ფასი 60000$ ტელ. 23-26-83

სასწრაფოდ იყიდება 2 სართულიანი სახლი მანსარდით საგურამოსთან, ბურიანში, 600 კვმ-ით, ხეებით, ფასი 4 ათასი დოლარი. ტელ. 36-45-00 დარეკეთ 18 სთ-ის შემდეგ, ზურა

იყიდება 2 ოთახიანი სუფთა ბინა ლოჯით კინო „საქართველოსთან“ 8 სართულიანის მე-8 სართულზე. ტელეფონით ფასი 11 ათასი დოლარი. ტელ. 61-71-46 ნანა

სასწრაფოდ იყიდება 2 ოთახიანი ბინა ბელეტაჟზე მეტრო „აეროლაბარტთან“, ლოჯით, სამზარეულოთი, ტელეფონით, 3 სარდაფით. ფასი 12000$ ტელ. 74-44-09

იყიდება ან იცვლება 2 ოთახიანი იზოლირებული ბინა საბურთალოზე, ხეიჩიას ქ.№7. სასურველია ბინა გადაეცვალო საბურთალოს მიდამოებში ოთახზე. ფასი 18000$ ტელ. 38-71-02

იყიდება 6 ოთახიანი სარემონტო ბინა საბურთალოს ცენტრში, საერთო ფართი 200 კვ.მ, 2 სან.კვანძით. ორი ავტოფარეხით. ფასი 60 ათასი დოლარი. ტელ. 38-01-11

იყიდება ორსართულიანი კერძო ბინა ხეხილიანი ეზოთი სახლის ფართი 11X9-ზე. ეზოს ფართი 200 კვმ, დოლიძის ქ.№104, საწყისი ფასი 85 ათასი დოლარი

იყიდება მაღალჭერიანი 2 ოთახიანი სუფთა ბინა 40 კვ.მ, სამზარეულო და საპირფარეშო ორ ოჯახზე საერთოა. საწყისი ფასი 10000$ ტელ. 61-51-16; 98-75-15 თემური

იყიდება 3 ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა, ლოჯით, სარდაფით, მიშენებული აივნით. საერთო ფართი 130 კვმ, საწყისი ფასი 40000$ ტელ. 39-26-34

იყიდება ან იცვლება ავტომანქანაზე საგარაჟო ნაკვეთი ზემო ავჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე. კახეთის გზატკეცილთან ახლოს. ნაკვეთის ფართი 700 კვ.მ, სახლი 6X7 ფასი შეთანხმებით. ტელ. 62-06-86

იყიდება აგარაკი მუხათწყაროში, ტყისპირას, თბილისიდან 5 კმ-ის დაშორებით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 99-82-51

იყიდება 2 ოთახიანი ბინა ლოჯიით ეფშაველას II კვარტალში I კორპ. 8 სართულიანის IV სართულზე. ტელეფონით, ფასი 15000 დოლარი. ტელ. 66-06-96 ცაცა ახელედიანი

იყიდება მიწის ნაკვეთი მშენებარე ერთსართულიანი სახლით, ხეხილით, ვაზით. მცხეთის რ-ნის სოფ. სასხორში. საწყისი ფასი 3000$ ტელ. 68-60-64 იზო ან კაკო

სასწრაფოდ იყიდება 2 სართულიანი სახლის პირველ სართულზე ოთახნახევრიანი იზოლირებული ნათელი კუთხის ბინა მიშენების პერსპექტივით. ბინის საერთო ფართი 45 კვმ ტელეფონით. ფასი 8700$ ტელ. 29-86-55 ან 73-78-90

ქირავდება

ქირავდება 3 ოთახიანი საუკეთესო ბინა უცხოელებზე, ფიქრის გორაზე. თვეში 500$. ტელ. 38-01-11

ვიქირავებ ერთოთახიან ბინას მუხიანში, გლდანში ან სარაჯიშვილის გამზირზე 50 ლარის ფარგლებში. ტელ. 63-63-25 ჰანრი ან ხატია

ვაქირავებ ოფისისათვის, საწყობისათვის, ბაზისათვის 3 ოთახიან იზოლირებულ ბინას, I სართულზე. ბინას აქვს რკინის გისოსები და მდებარეობს მეტრო „ვარკეთილიდან“ 100 მეტრში ჯავახეთის ქუჩაზე. ტელ. 73-02-74 მზია ან ჯონი

ქირავდება საბურთალოს ქ.№10 მეტრო „პოლიტექნიკურთან“ 3 ოთახიანი ბინა ტელეფონით, VII სართულზე. ფასი 250$ ტელ. 35-15-89

ქირავდება 2 ოთახიანი ბინა მთაწმინდაზე. ფასი 100 ლარი. ტელ. 64-38-31 ან 63-00-78

ვაქირავებ ოთახნახევრიან ბინაში ნახევარ ოთახს (პატარა ოთახს), ცალკე ოთახში იცხოვრებს დიასახლისი. მეტრო „ვარკეთილთან“ ახლოს. ფასი 40 ლარი. ტელ. 73-02-74

გირავდება იაშვილის ქუჩაზე 1 ოთახიანი ბინა 30 კვმ ტელეფონით და ავეჯით. აბაზანა და საპირფარეშო საერთოა 2 ოჯახზე. დაგვიკავშირდით ტელ. 99-61-74

სხვადასხვა

იყიდება პიანინო „კიევი“ შაი ფერის, ნახმარ მდგომარეობაში. ფასი 200 ლარი. ტელ. 38-71-02

იყიდება მიკროტალღოვანი ღუმელი პროგრამული მართვით. ფასი 200 ლარი. ტელ. 95-36-76

იყიდება არაბული წარმოების სამეული მისაღებისათვის ანტიკვარულ სტილში. ფასი 900 დოლარი. ტელ. 61-25-48; 61-11-39

შევიძენ ხორბლის წისქვილს. ტელ. 37-23-78; 37-29-73

თემურ მღინარაძეს და ირინა ინჯგიას!

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. ჯანმრთელი, ბედნიერი და სახელოვანი ვაჟკაცი გაზრდილიყოს.

ჩვენს პატარა შვილიშვილს **ქეთი კობახიძეს** ვუსურვებ ჯანმრთელობას და ბედნიერ სიცოცხლეს.

ძეთინო და როდერი დარჩიები

ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს 93-18-41

ბარამიძე მოითხოვს ბოდიშის მოხდას

გუშინ ჩუღურეთის რაიონის სასამართლოში გაიმართა განსჯადობის პროცესი მოსარჩელეების – საპარლამენტო ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირი“-ს თავმჯდომარის გიორგი ბარამიძისა და „მოქალაქეთა კავშირის“ გენ. მდივნის მიხეილ მაჭავარიანის ადვოკატს – კობა დავითაშვილს, ფირმა „ომეგა“-ს ადვოკატს შალვა რჩეულიშვილსა და მოსამართლე მ.ჭოხონელიძეს შორის.

როგორც საგენტო „იფრინდა“-ს კორესპონდენტთან საუბარში საპარლამენტო ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირი“-ს თავმჯდომარემ გიორგი ბარამიძემ განაცხადა, მან და მიხეილ მაჭავარიანმა სარჩელი ასევე შეიტანეს რესპუბლიკის პროკურატურაში, შრჩეულიშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე, მაგრამ არც ოფიციალური და არც არაოფიციალური პასუხი მათ ჯერ არ მიუღიათ.

გ.ბარამიძის თქმით, იგი შ.რჩეულიშვილისგან მოითხოვს საჯაროდ ბოდიშის მოხდას, წინააღმდეგ შემთხვევაში ადეოკატმა უნდა დაასაბუთოს თავისი ბრალდება იმის შესახებ, თითქოსდა გ.ბარამიძე და მ.მაჭავარიანი მფარველობდნენ ფირმა „ელიზის“ ხელმძღვანელობას.

საგენტოს კორესპონდენტისათვის ცნობილი გახდა, რომ შ.რჩეულიშვილმა განსჯადობის პროცესზე არ მოიყვანა ფაქტობრივი დასაბუთება გ.ბარამიძისა და მ.მაჭავარიანის ბრალის შესახებ, იმ მოტივით, რომ იგი ფირმა „ომეგას“ ადეოკატია და სანამ არ დასრულდება კონკურენტი ფირმა „ელიზის“ პრეზიდენტის სასამართლო პროცესი, იგი სასამართლოს ვერ წარუდგენს ბრალდებებს.

როგორც ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს მოსამართლემ მამუკა ჭოხონელიძემ განაცხადა, მან არ დააკმაყოფილა შ.რჩეულიშვილის თხოვნა, რათა აღნიშნული საქმე განეხილა უზენაეს სასამართლოს და იგი გუშინვე გადაუგზავნა საქალაქო სასამართლოს.

საგენტოს კორესპონდენტისათვის ცნობილი გახდა, რომ შ.რჩეულიშვილი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, დიდუბის რაიონს მიეკუთვნება. გამომდინარე აქედან, სარჩელი აღნიშნული რაიონის სასამართლოში უნდა შესულიყო. ცნობილია ასევე, რომ შრჩეულიშვილმა იმის გამო მოითხოვა საქმის უზენაეს სასამართლოში განხილვა, რომ სხვა სასამართლო ინსტანციები მისდამი არაობიექტურ განაჩენს გამოიტანენ. (იფრინდა)

«მე ვეჭვობ, ედუარდ შევარდნაძის ბრძანების გარეშე ვინმეს რაიმე გადაწყვეტილება მიეღო»

„მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტმა საგაზაფხულო სესიის დროს რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი კანონი და დოკუმენტი მიიღო“, სახალხო ფრაქციის ლიდერმა მ.გიორგაძემ გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე პარლამენტის მუშაობასთან დაკავშირებით უკმაყოფილება გამოთქვა. მისი თქმით, პარლამენტმა ვერ დააფიქსირა თავი, როგორც ხელისუფლების დამოუკიდებელმა შტომ, რადგან ხშირად იგი პრეზიდენტის მიერ შეთავაზებულ მოთხოვნათა ლეგიტიმიზაციას ახდენდა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით, მ.გიორგაძემ აღნიშნა, რომ იგი ისეთი სახით იქნა შეტანილი, რომ პარლამენტი არ მიიღებდა. ამის გამო კი გადაიდებოდა არჩევნები, რაც ფრაქციის ლიდერის თქმით, ხელისუფლების ინტერესებში შედის.

რაც შეეხება უშიშროების მინისტრის გარშემო ატეხილ აეიოტაჟს, მ.გიორგაძე თვლის, რომ ეს სპექტაკლია, რომელმაც ისეთი სახე მიიღო, რაც არ აწყობდა პრეზიდენტს. ფრაქციის ლიდერის თქმით, არც შ.კვირაია აღმოჩნდა ის კაცი, რომელიც უეჭველად წავიდოდა, თუმცა მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები საკმაოდ მძიმეა.

მ.გიორგაძის განცხადებით, 26 ივნისს, პარლამენტის დახურულ სხდომაზე, შ.კვირაიამ დროებით საგამოძიებო კომისიას ისეთი კონტრბრალდებები წაუყენა, რომ კომისია სატელეფონო საუბრების მოსმენის ფაქტებმაღა იხსნა. ზუგდიდში მომხდარ ინცინდენტთან დაკავშირებით მ.გიორგაძემ აღნიშნა, რომ ეს ფაქტი მაშინაც საკმაოდ კარგად იყო ცნობილი პარლამენტისათვის და პრეზიდენტისათვის (რომელმაც წარადგინა მისი კანდიდატურა და რომელიც დახერეტის დროს შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა), როდესაც ისინი შ.კვირაიას მინისტრის პოსტზე ამტკიცებდნენ. „მე ვეჭვობ, ე.შევარდნაძის ბრძანების გარეშე ვინმეს რამე გადაწყვეტილება მიეღო“ – განაცხადა ფრაქციის ლიდერმა.

საქართველოს უშიშროების სამინისტროს მუშაობასთან დაკავშირებით მ.გიორგაძემ აღნიშნა, რომ გასარკვევია, საჭიროა თუ არა ისეთი ტიპის სამინისტრო, რომელიც „კგბ-ს კალკია“. მისივე თქმით, უშიშროების სამინისტროს ყველა ფუნქცია აქვს, გარდა ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფისა.

მ.გიორგაძის განცხადებით, შ.კვირაიასთან დაკავშირებული სკანდალით ხელისუფლებამ ყურადღება მოადუნა აფხაზეთის საკითხისადმი. მისი აზრით, უნდა გაირკვეს, რამდენად არის საქართველო მზად რუსეთის სამშვიდობო ძალების გასვლისათვის. მისივე თქმით, ამ საკითხებისადმი თავის არიდება იმის მანიშნებელია, რომ ხელისუფლებამ არ იცის, თუ რა კუთხით უნდა წარმართოს მოვლენები. (იფრინდა)

ნოდარ ნათაძემ მწვანეებს კრნ-ს აგენტობა დააბრალა, მეთუკი...

2 ივლისს მწვანეთა პარტიის თავმჯდომარემ გიორგი გაჩეჩილაძემ პრესკონფერენცია მიუძღვნა ნოდარ ნათაძის განცხადებას.

სხვათაშორის, ჟურნალისტებმა შენიშნეს, რომ ამ ამბავზე ასეთი აუიოტაუის ატეხვა არ ღირდა, რადგან დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალებს შორის ყველგან და საკმაოდ ხშირადაც ხდება ურთიერთბრალდებები. გიორგი გაჩეჩილაძემ გაკვირვება გამოთქვა, რომ ბატონ ნოდარს წინა პარლამენტში სრული შესაძლებლობა ჰქონდა მწვანეთა პარტიის შესახებ ინფორმაცია ჰქონოდა და მაშინ არასოდეს გამოუთქვამს ეჭვი მწვანეების ანტიქართული მიმართულებისა და კაგებეს აგენტობის შესახებ. რაც შეეხება СНГ-ში შესვლას, გგაჩეჩილაძემ მწვანეთა თანხმობა სოხუმის დაცემით და მას შემდეგ მომხდარი მოვლეწებით ახსნა, ხოლო დღეს საქართველოს СНГ-ში ყოფნა პოზიტიურად შეაფასა. მისი აზრით, ეს გაერთიანება რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე ზემოქმედების ძლიერი ბერკეტია და მწვანეები მიმდინარე პროცესების კმაყოფილები არიან. „СНГ რომ არ ყოფილიყო, იარსებებდა თუ არა საქართველო და ვიქნებოდით თუ არა დამოუკიდებლები, ესეც საკითხავია“, – ხაზგასმით აღნიშნა მწვანეების ლიდერმა.

შემდეგ იგი მწვანეთა მოძრაობის დაარსების ისტორიას გადაწვდა და ზურაბ ჟვანიას, ნანა ნემსაძისა და გიეი თუმანიშვილის მოკლე ბიოგრაფიების შემდეგ მწვანეთა ფრაქციის პროფესიული შემადგენლობა ჩამოთვალა, რის შემდეგაც სახალხო ფრონტის წინა პარლამენტში წარმოდგენილ დეპუტატთა პროფესიულ მომზადებაზე გაამახვილა ყურადღება.

მწვანეთა პარტიის მიერ ბოლო დროის პრესისა და ტელევიზიის ანალიზმა აჩვენა, რომ მათ წინააღმდეგ გამოუცხადებელი ომი აეთო მარგიანმა დაიწყო, რომელიც პრესამაც აიტაცა: „მწვანე პამიდორჩიკები, რომლებიც თუ დამწნილდებიან, შეიძლება რამე გამოვიდეს მათგან“ და ა.შ. შემდეგ რჩეულიშვილ-ბარამიძის სასამართლო პროცესი და „დოლარი მწვანეა და კორუფციას მწვანე ფერი აქვსო“. გიორგი გაჩეჩილაძემ ისიც თქვა, რომ 102 მილიარდის საქმე, რომელიც ბასილიამ შეისწავლა და იმ კომისიაში სახალხო ფრონტელებიც მონაწილეობდნენ, უკვე საარქივო მასალაა. „ჩვენ კი ველოდით, რომ რაღაც ისევ დაიწყებოდა, მაგრამ ნოდარ ნათაძის ჩვენს წინააღმდეგ გამოსვლა მოულოდნელი იყო“. მწვანეთა ლიდერმა წარმოუდგენლად მიიჩნია მარგიანის, რჩეულიშვილის და ნათაძის ერთ გუნდში ყოფნა, მაგრამ ამავე დროს მოხერხებულად დაუბრუნა ბრალდება ნოდარ ნათაძეს: „როდესაც ასეთი განსხვავებული პიროვნებები ერთად გამოდიან, ეს იმის მიმანიშნებელია, რომ მათ ერთი, ძლიერი პატრონი ჰყავთ, რომელიც აქედან გახიზნულ ჩვენს თანამემამულეებში და კრიმინალურ კლანებში უნდა ვეძებოთ. მათ ცოტა იჩქარეს, ეგონათ, შემოდგომაზე ადგილობრივი არჩევნები ჩატარდებოდა“.

ჟურნალისტები დაინტერესდნენ, აღძრავდა თუ არა მწვანეთა პარტია ცილისწამებისათვის სარჩელს. გიორგი გაჩეჩილაძემ სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლი გაგვაცნო, სადაც, თუ ნოდარ ნათაძეს დამნაშავედ სცნობდნენ, მას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. მან დარწმუნებით თქვა, რომ ნოდარ ნათაძეს სასამართლო აუცილებლად გაამტყუნებს და რადგან იგი უკვე 70 წლისაა, მწვანეები არაჰუმანურად თელიან ასეთ ნაბიჯს. გიორგი გაჩეჩილაძე თვლის, რომ ნოდარ ნათაძემ თვითონ უნდა გადადგას სწორი ნაბიჯი.

გიორგი გაჩეჩილაძე იმედიანად უყურებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და თვლის, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის შემდეგ აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტასთან ერთად ცხინვალის საკითხიც დადებითად გადაწყდება. ჟურნალისტებმა იკითხეს, რას აკეთებს მწვანეთა პარტია და საერთოდ თუ აკეთებს რამეს? გიორგი გაჩეჩილაძემ გაიხსენა სომხეთის ატომურ ელექტროსადგურთან დაკავშირებული ბრძოლები, რომელიც ახლაც გრძელდება, რადგან სომხები აპირებენ ახალი აესის აშენებას. ამ შემთხვევაში კი ამიერკავკასია შეიძლება ატომური იარაღის პოლიგონად იქცეს. ახალ აესს 1000 მეგავატი სიმძლავრე ექნება, შესაბამისად კი 30–40 ტონა რადიოაქტიურ ნარჩენს გამოჰყოფს წელიწადში, რაც ატომური ბომბების დასამზადებლად სრულიად საკმარისი იქნება. პრესკონფერენციის თემა თავისთავად შეიცვალა და საუბარი გარემოს დაბინძურებას, ეკოლოგიის დარღვევას და სხვა სპეციფიკურ საკითხებს შეეხო.

მანანა იაშვილი

ნოდარ ნათაძე 70 წლის რომ არ იყოს, შეიძლება ბრალდებულის სკამზეც აღმოჩენილიყო

2 ივლისს მწვანეთა პარტიის თავმჯდომარემ გია გაჩეჩილაძემ პრესკონფერენცია გამართა, რომელიც ფაქტიურად ნოდარ ნათაძის მიერ „მწვანეების“ მიმართ წაყენებულ ბრალდებებს ეძღვნებოდა. „მწვანეების“ ლიდერმა, ავთანდილ მარგიანი, შალვა რჩეულიშვილი და ნოდარ ნათაძე ერთიანი გუნდის წარმომადგენლებად მიიჩნია. ხოლო, მათ უკან ვინ დგას, თვითმმართველობის არჩევნების წინ ამოტივტივდებაო – დასძინა მან. დაუსაბუთებელი ბრალდებების გამო, შეიძლებოდა ნათაძისთვის სასამართლოში ეჩივლათ, ცილისწამებისთვის მას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, მაგრამ „მწვანეებმა“ ასაკის გამო დაინდეს იგი. თუმცა გაჩეჩილაძემ მოითხოვა, რომ ნათაძემ დოკუმენტურად დაადასტუროს ის ბრალდებები, რომელიც მან მწვანეებს წაუყენა. (პრემიერი)

შეიძლება სისხლის სამართლის საქმე აღიძრას

2 ივლისს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე მინისტრის მოადგილე გურამ დიდბარიძე 1994–1995 წლებში მინერალური სასუქებისა და საწვავზე გამოყოფილი კრედიტის საკითხს შეეხო. მისი თქმით საქმე გვაქვს 2,5 მლნ ქონების დატაცებასთან. სენაკის, მარტვილის, ჩხოროწყუს და აბაშის რაიონებიდან თანხები არ არის ამოღებული. გურამ დიდბარიძემ აღნიშნა, რომ თუ ბიუჯეტში 1 აგვისტომდე არ იქნა შეტანილი თანხა, აღიძერება სისხლის სამართლის საქმე დამნაშავეთა წინააღმდეგ. (პრემიერი)

წყალდიდობამ ორი ადამიანი შეიწირა

საქართველოში ბოლო დღეებში კოკისპირული წვიმების შედეგად გამოწვეულმა წყალდიდობებმა ორი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ადიგენის რაიონის სოფელ უდეში ძლიერი წვიმების გამო მოდიდებულმა მდინარე ქვაბლოვანმა დაანგრია წისქვილი და დაიღუპა მეწისქვილე ანტონ აბულაძე.

პრაიმ-ნიუსს საქართველოს შსს-ის პრეს-ცენტრიდან აცნობეს, რომ კოკისპირული წვიმების გამო მოდიდებულმა მდინარე ქსანმა ახალგორის რაიონის სოფელ წირქონში წაიღო ურემი და შედეგად დაიღუპა ტარიელ თათრიშვილი. (პრაიმ-ნიუსი)

ჯვროსვორდი



თარაზულად: 1. სიგრძის საზომი ერთეული ძველად; 2. ახლომხედველი; 3. ციკის მსახიობი; 4. ქართულ მითოლოგიაში – ნადირთა მფარველი ღვთაება; 5. ერთგვარი მაგარი ღვინო; 6. ზღვისგან მოწყვეტილი წყალმცირე ყურე ან ტბა; 7. ჭაობის მცენარე; 8. მხარზე გადასაკიდებელი ჩანთა; 9. ქალაქი საფრანგეთში; 10. XIV – XIX სს. ოსმალეთში პრივილეგირებული ქვეითი ჯარი, შემდგარი ბავშვობაში ტყვედ წაყვანილი და გამაშადიანებული ქრისტიანებისაგან; 11. მართლმსაჯულება, სასამართლო წარმოება; 12. ქალაქი საფრანგეთში; 13. ქალაქი პოლონეთში; 14. ცხენებშებმული მრავალადგილიანი კარეტა, რომელიც გარკვეული მარშრუტით მოძრაობდა; 15. სვანური კოშკი; 16. ზოგიერთი ცხოველის ბეწვი; 17. ტექსტის ქვეშ მოცემული განმარტება, შენიშვნა; 18. ლიტერატურისა და ხელოვნების სანიმუშო ნაწარმოებთა ერთობლიობა; 19. ფრანგი მწერალი და დრამატურგი; 20. ქვეყანა ევროპაში; 21. ქალაქი ესპანეთში; 22. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი; 23. ანტიკური ორთელიანი ეტლი, რომელშიც შებმულია ოთხი ცხენი; 24. სპილენძის შენადნობი ნიკელთან; 25. აბანოში მომუშავე, რომელიც ტანს ჰბანს კლიენტებს; 26. მეცნიერება, რომელიც სწავლობს ცოცხალი ორგანიზმის აგებულებას; 27. მუსიკალური საკრავი, ოთხი წყვილი სიმით; 28. დაზვერვის ორგანოების საიდუმლო თანამშრომელი; 29. ღია ცის ქვეშ გამართული სახალხო დღესასწაული – მასკარადი; 30. ესპანელი ფერმწერი; 31. გამოუწვავი აგური; 32. XVIII ს-ის ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი; 33. დიდი ზომის მტაცებელი ფრინველი; 34. მდინარე აფრიკაში; 35. VI ს-ის ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი; 36. მუსლიმანურ ქვეყნებში უფროსის ან სასულიერო პირის მოადგილე; 37. ბიბლიური ქვეყანა; 38. სპორტული თამაში; 39. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი; 40. მინერალი, ნახევრად ძვირფასი ქვა; 41. უძლური, უხალისო; 42. ქალაქი აფრიკაში; 43. მდარე ხარისხის ვერცხლი, რომლისგანაც ხურდა ფულს ჭრიან; 44. სამხ.ამერიკაში გავრცელებული ერთგვარი სირაქლემა; 45. ფულის ერთეული ინდოეთში; 46. ბერძნულ მითოლოგიაში ასტრონომიის მფარველი მუზა.

შვეულად: 1. ქალაქი ნიგერიაში; 2. ფრანგი პოეტი; 3. მოძღვრება ოკეანეებსა და ზღვებში მიმდინარე პროცესების შესახებ; 4. ქალაქი თურქეთში; 5. კგამსახურდიას რომანის პერსონაჟი; 6. მოუსვენარი; 7. ბერძნულ მითოლოგიაში ფრთოსანი რაში; 8. ქართველი მწერალი; 9. იაპონელი მწერალი; 10. ფრანგი პოეტი; 11. წონის ერთეული ძველ რომში; 12. საავადმყოფოში ცალკე ადგილი, სადაც ათავსებენ გადამდები სენით დაავადებულ ავადმყოფს; 13. უძველესი დასავლურ ქართული ტომი; 14. არქიტექტურული ელემენტი კედლიდან გამოწეული შემინული ნაწილი, რომელიც ასდევს შენობის რამდენიმე სართულს; 15. განსაკუთრებულად მომრგვალებული ხელნაწერი ასოები ან სასტამბო შრიფტი; 16. კარგად მოსიარულე ცხენი; 17. სახელმწიფო აფრიკაში; 18. ადამიანი, წარმოშობილი ინდიელისა და ევროპეიდული რასის წარმომადგენლის ჯორწინების შედეგად; 19. ფრანგი ფერმწერი; 20. ძვირფასი ქვებით გაწყობილი გვირგვინი; 21. ჩრ.ამერიკელ ინდიელთა ტომის წარმომადგენელი; 22. ძვირფას ქვაზე ჩაღრმავებულად ამოკვეთილი გამოსახულება; 23. ფრანგი ფერმწერი; 24. პროვინცია საფრანგეთში; 25. მდინარე აფრიკაში; 26. რეგულარული შემოსავალი; 27. კუთხე, რომელიც იქმნება მოცემულ მიმართულებასა და ჩრდილოეთის მიმართულებას შორის; 28. სურნელოვანი მწვანილი; 29. კრიეში უდიდესი მანძილი, საიდანაც შეიძლება დარტყმა; 30. ძველ საბერძნეთში მატყლის ან სელის გრძელი პერანგი; 31. ტბა საქართველოში; 32. ბერძნულ მითოლოგიაში ომის ქალღმერთი; 33. ტროპიკული ხე; 34. მითიური არსება, რომელმაც ნირვანას მდგომარეობას მიაღწია.

თამუნა ესაკია

წინა ნომრის პასუხები

თარაზულად: 1. მიცკევიჩი; 2. ეთნოგენეზი; 3. რეიკიავიკი; 4. იანუსი; 5. იყალთო; 6. ჟურუა; 7. ოტავა; 8. ეირენე; 9. ურარტუ; 10. ინა; 11. კარბდი; 12. ირიდა; 13. დუნაი; 14. კაპრონი; 15. ოხვიეტო; 16. ალიანსი; 17. დიურერი; 18. ოინბაზი; 19. ალიზი.

შვეულად: 1. პლინიუსი; 2. მინურინი; 3. კრეტსაბმელი; 4. ვიტილინეზი; 9. ნონეშვილი; 10. ლიტურგიკა; 11. რაიხსვერი; 12. ჩეფალუ; 13. ხარება; 14. არქიტრავი; 15. ნოემბერი; 16. ბაროკო; 17. დინარი; 18. აგოგიკა; 19. ნეაპოლი; 20. ილაჯი; 21. ესაძე; 22. კვინტა; 23. ნიმფა; 24. ზურნა.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, კუშჩინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444